

ქვეყნებად
ძიგთუნი ბეგთუნი



სტატი

II

ნაშრომი ეძღვნება მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის,
ქართული ზოლიგრაფიის ისტორიის მკვლევარისა და ბიბლიოგრაფის

ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძის

ნათელ ხსოვნას

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნაგებრი ქაჩთუღი ბაგოტეგეაი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
კოლექციის აღწერილობა

ტოგი II

საქართველოს გარეთ დაბეჭდილი წიგნები
(1629 - 1800)

თბილისი

2013

შინაარსი

DC: 017.1: 655. 11 (450+470) + 002 (=353.1)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ძველნაბეჭდი ქართული გამოცემების კოლექციის აღწერილობის მეორე ტომში აისახა 1629-1800 წლებში საქართველოს გარეთ ნაბეჭდი წიგნები. წარმოდგენილია: იტალიის კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების მიერ რომში დაბეჭდილი ქართული წიგნები, ასევე არჩილ II-ის, იოსებ სამეხელისა და ათანასე თბილელის მოსკოვური გამოცემები და გაიომ რექტორის თაოსნობით მომლოკში ამოქმედებული სტამბის გამოცემა.

შემდგენლები: ფერიდე კვაჭანტირაძე
დალი მახაიძე
ანა ჯაჯანიძე
მაია ლიასამიძე

რედაქტორი: მიხეილ ქავთარია
ფერიდე კვაჭანტირაძე

ISBN 978-9941-0-2731-4 (ორივე ტომი)
ISBN 978-9941-0-3844-0 (მეორე ტომი)

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I. კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემები7

წინასიტყვაობა9
1. ქართულ-იტალიური ლექსიკონი. რომი. 1629.21
2. მაჯიო ფრანცისკო-მარია. ქართული ენის გრამატიკა. რომი. 1670.....27
3. საქრისტიანო მოძღვარება... რომი. 1741. (366 გვ.).....31
4. საქრისტიანო მოძღვარება... რომი. 1741. (92 გვ.).....41
5. საქრისტიანო მოძღვარება... რომი. 1797.....45
6. საანბანო წიგნი. ლაიპციგი. 1743.....57

ნაწილი II. არჩილ II-ის გამოცემა.....59

წინასიტყვაობა.....61
1. დავითნი. მოსკოვი. 1705.....73

ნაწილი III. იოსებ სამეხელის სტამბის გამოცემები.....77

წინასიტყვაობა.....79
1. დავითნი. მოსკოვი. 1737.....91
2. ზაგიკი. მოსკოვი. 1738.....95
3. სახარება. მოსკოვი. 1739.....103
4. პროკოპოვიჩი თეოფანე, პირველი სასწავლო ყრმათა. მოსკოვი. 1739.....109
5. ბასილიოს მაკედონელი. გესტამენტი. მოსკოვი. 1739.....113
6. მარხვანი. მოსკოვი. 1741.....119
7. ბიბლია. მოსკოვი. 1743.....127
8. სახარება. მოსკოვი. 1743.....175
9. ჟამნი. მოსკოვი. 1743.....177
10. იოანე დამასკელი. გარდამოცემა უცილობელი... მოსკოვი. 1744.....181

1. თვენი. [მოსკოვი] [1756-1762].....191

ნაწილი IV. ათანასე თბილელის სტამბის გამოცემები.....	201
წინასიტყვაობა.....	203
1. დავითნი. მოსკოვი. 1764.....	215
2. სამოციქულო. მოსკოვი. 1765.....	219
3. სახარება გამოკრებული. მოსკოვი. 1766.....	235
4. პარაკლისი. მოსკოვი. 1767.....	239
5. დავითნი. მოსკოვი. 1768.....	243
6. ჟამნი. მოსკოვი. 1768.....	253
7. ლოცვანი. მოსკოვი. 1768.....	243
ნაწილი V. გაიომ რექტორის სტამბის გამოცემები.....	269
წინასიტყვაობა.....	271
1. გაიომი. გრამატიკა. მოზლოკი. 1796-1800.....	277
სახელთა საძიებელი.....	283
დანართი I.....	301
დანართი II.....	313
დანართი III.....	315
დანართი IV.....	327
დანართი V.....	333



ნაწილი I

კათოლიკური სარწმუნოების
გამაურცელებელი საზოგადოების
გამოცემები

რომი

1629-1797

წინასიგევაობა



ქართული ბეჭდური წიგნის ისტორიის მკვლევარნი ეროვნული წიგნბეჭდვის საწყისის დადგენის საკითხში ერთსულოვანნი არ არიან: მეცნიერთა ერთი ნაწილი (მ. თამარაშვილი, დ. ჩუბინაშვილი, ალ. ხახანაშვილი, კ. კეკელიძე და სხვა) სათავედ მიიჩნევენ 1629 წელს, როცა ქართველი დიპლომატის, სასულიერო მოღვაწის, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილისა (ნიკიფორე ირბახი) და იგალიელი მესგამბე სტეფანე პაოლინის დამსახურებით, „რომის კათოლიკური სარწმუნოების გამაერცვლებელი საზოგადოების“ (FIDE) სტამბაში დაიბეჭდა „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, „ღვთისმშობლის სავედრებელი“ და „ქართულ-იგალიური ლექსიკონი“. მეორე თვალსაზრისით ქართული ბეჭდური წიგნის ისტორიის სათავეა 1705 წელი (დ. კარიჭაშვილი, ა. აბრამიშვილი, ქ. შარაშიძე, ო. კასრაძე და სხვა). ამ წელს, მეფე არჩილის ღვაწლითა და რუსეთში გადახვეწილ ქართველთა მონაწილეობით, მოსკოვის წმინდა სინოდის სტამბაში „ღავითნი“ გამოიცა. კიდევ ერთი მოსაზრებით, პირველნაბეჭდ გამოცემებად მიჩნეულია ვახტანგ VI-ისა და მისი თანამოაზრეების მიერ თბილისში გამართულ სტამბაში 1709 წელს დაბეჭდილი „სახარება“, „ღავითნი“, „სამოციქულო“ და 1722 წლამდე დასტამბული სხვა წიგნები.

პირველი შეხედულება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ 1629 წლამდე არავის უხილავს ქალაქში ნაბეჭდი ქართული ანბანის რომელიმე ასო-ნიშანი, მით უფრო – ქართული გეგსტი. თუმცა, როგორც ამ წელს, ისე 1800 წლამდე იგალიაში დაბეჭდილ სხვა ქართულ წიგნებს რაიმე გავლენა არ მოუხდენია წიგნბეჭდვისა და საზოგადო, ეროვნული პოლიგრაფიის განვითარებაზე. თუმცა ნ. ჩოლოყაშვილისა და სტ. პაოლინის შრომას უკვალოდ როდი ჩაუვლია, უწინარეს ყოვლისა, ქართული კულტურისა და მეცნიერების პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

ქართველთა ღვაწლი უფრო თვალსაჩინოა 1705 წელს მოსკოვში დასტამბული „ღავითნის“ გამოცემაში. სწორედ ამ წიგნით დაელო სათავე ქართულ პოლიგრაფიულ გრადიციას. მართლაც, მთელი გეგნოლოგიური პროცესი (ლიგერების ჩამოსხმიდან – გირაჟირებაამდე) ქართველთაგან იყო ორგანიზებული. აღსანიშნავია ისიც, რომ „ღავითნის“ გამოცემისათვის ლიგერების მოსკოვში დამზადებას წინ უძღოდა ქართველ მამულიშვილთა (არჩილ II, ალექსანდრე ბაგონიშვილი) თავდაუზოგავი მცდელობა ევროპული წიგნბეჭდვის კულტურის ქართულ ნიადაგზე გადმონერგვისათვის.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დასახელებული პირველნაბეჭდი წიგნები, ორივე შემთხვევაში, საქართველოს ფარგლებს მიღმა გამოიცა უცხო პოლიგრაფისგან თანადგომითა და უცხოურ სტამბებში. მაგრამ, როგორც რომაული, ისე მოსკოვეური გამოცემები ქართული წიგნბეჭდვის ორგანული შემადგენელი ნაწილია, მათ შორის ქრონოლოგიური, პოლიგრაფიული, შინაარსობრივი და ა.შ. განსხვავების მიუხედავად.

წიგნბეჭდვის ეროვნულ გრადიციას საბოლოოდ ჩაეყარა საფუძველი 1709 წელს თბილისში. იმდროინდელი გამოცემებიც, ბელის უკუღმართობით

უცხოეთში გადახვეწილი ქართველის, რუმინეთში წიგნბეჭდვის ღამნერგავის, ანთიმოზ ივერიელის თანადგომით განხორციელდა. მან საქართველოში სტამბის გასამართალ თავისი საუკეთესო მოწაფე, მიხეილ იშგვანოვიჩი გამოგზავნა. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა რამდენიმე წიგნის დაბეჭდვა და სტამბის მუშაკთა მომზადება. ამრიგად, ვახტანგ VI-ისა და ანთიმოზ ივერიელის ერთობლივი ღვაწლით წიგნბეჭდვის ევროპულმა გრადიციამ თანდათან საქართველოში გადმოინაცვლა. ამოქმედებიდან პირველივე წელს თბილისის სტამბაში ბერძნულ ტექსტებს შედარებული და რელაქტირებული სამი წიგნი – „სახარება“, „დავითნი“ და „სამოციქულო“ გამოიცა.

აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. ქართული ბეჭდური წიგნის პირველი გამოცემა 1629 წელს რომში (იგალია) განხორციელდა. ქართული წიგნის უცხოეთში ბეჭდვისათვის მცდელობამ შემდგომში ჯერ ცენტრალურ ევროპაში (შვედეთი, პოლანდია), შემდეგ კი მოსკოვში ჰპოვა განვითარება, რაც რუსეთის სინოდის სტამბაში 1705 წელს „დავითნის“ გამოცემით დაგვირგვინდა.

2. ქართული ბეჭდური წიგნების გამოცემა მკვიდრ საფუძველზე ღვება 1709 წლიდან, როდესაც თბილისში სტამბა გაიმართა. აქედან იღებს სათავეს ეროვნული პოლიგრაფიული გრადიცია.

3. ერთი მხრივ ქართული წიგნის ბეჭდვასა და მეორე მხრივ, ორიგინალურ პოლიგრაფიულ გრადიციას სხვადასხვა ქრონოლოგიური ხანგრძლივობა გააჩნია: ქართული წიგნბეჭდვის ისტორია სამას ოთხმოცდაათ წელს მოიცავს და 1629 წლიდან იწყება, ხოლო ეროვნული პოლიგრაფიული გრადიცია სათავეს ოთხმოცი წლის შემდეგ – 1709 წელს იღებს და სამას ოთხი წლის ისტორია აქვს.

გაგებით ვეკიდებით მოსაზრებას, რომ ქართული წიგნის ბეჭდვას უფრო ხანგრძლივი ისტორია უნდა ჰქონდეს. მოგიერთ მკვლევარს (ვ. მოლინი, კ. იონესკო, ა. პლეშერი) ამას აფიქრებინებს პირველგამოცემათა მაღალი პოლიგრაფიული კულტურა. სხვა საკითხია, რომ აღნიშნული ვარაუდის დასაბუთება არა მარტო სასურველი, არამედ მეცნიერული თვალსაზრისით აუცილებელიცაა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბაქარ ბაგონიშვილის, ათანასე ამილახერის, ერეკლე მეორის, მოზლოკის, იმერეთის სტამბების პოლიგრაფისტთა საქმიანობა უშუალოდ განაგრძობს წინამორბედთა გრადიციებს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისტორიულ პროცესთან, რომლის პირველი, თითქმის ორასწლოვანი პერიოდი (1629-1818 წწ.) რომელიც გამოცემებიდან მოყოლებული იმერეთის სტამბების უკანასკნელ პროლექციათა ჩათვლით, XIX საუკუნის ათიან წლებში, კერძოდ 1818 წელს დასრულდა.

1801 წლიდან რუსეთისგან საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად, რამაც თითქმის მთელი XIX საუკუნე მოიცავს, ეროვნული წიგნბეჭდვა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ცენტრით კონტროლირებადი გახდა. აღნიშნულის მიუხედავად, ინტენსიური გახდა პროგრესული სასტამბო ტექნოლოგიის შემოღება

საქართველოში. ეს პროცესი მეგროპოლიიდან მართული გახლდათ და იმთავითვე მიზნად ისახავდა იმპერიის პროპაგანდისტული არხების გამრავლებას საქართველოში. ამით ქართული წიგნბეჭდვის საქმე სრულიად განსხვავებულ ტექნიკურ საფუძველს იძენდა, რაც XIX საუკუნის დასაწყისიდან პრინციპულად ცვლიდა ეროვნული პოლიგრაფიის განვითარებას.

აღნიშნული გარემოებანი საფუძველს გვაძლევს საიმისოდ, რომ ქართული ბეჭდური წიგნის ისტორიის ამსახველ პირველ პერიოდს 1629-1818 წწ. მივიჩნიოთ, ხოლო დროის ამ მონაკვეთში საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ დასტამბულ პროლექციას „ძველნაბეჭდი“ („პირველნაბეჭდი“) ქართული წიგნები ეუწოდოთ.

ამ პერიოდის ყოველი გამოცემა, ამ გამოცემათა თითოეული ეგზემპლარი ეროვნული კულტურის არამარტო ნივთიერი, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სულიერი კულტურის უნიკალური ძეგლებია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ გამოცემათა არა მხოლოდ ქრონოლოგიურ, პოლიგრაფიულ მახასიათებლებს, არამედ უწინარეს ყოვლისა უზენაეს სარწმუნოებრივ, კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებს, რომელთაც ეს გამოცემები ემსახურებოდა.

მეცნიერული თვალსაზრისითაც უაღრესად ფასეულია მოგიერთ ეგზემპლარზე დაფიქსირებული მინაწერები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის ფასდაუდებელ დოკუმენტურ პირველწყაროს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია აგრეთვე სარელაქციო შენიშვნები, ეგზემპლარის მფლობელის ბიოგრაფიის, მეტიც, ხშირად მთელი საგვარეულოსა თუ მისი განმგებლის ისტორიის ამსახველი ჩანაწერები, რომლებიც ნათელყოფს ცნობილ (მოგვიერ აქამდე უცნობ) პიროვნებათა ბიოგრაფიულ მონაცემებს. ყოველივე ამასთან ერთად, აღნიშნულ გამოცემათა ხანაზმულობა, მათ არქაულ ხელნაწერთა მსგავსად, უნიკალური კულტურული ფასეულობის მნიშვნელობას ანიჭებს, რომელსაც განსაკუთრებული მზრუნველობა და მოვლა-პაგრონობა ესაჭიროება. სამწუხაროა, რომ ხშირად უყურადღებოდ მიტოვებული განძი უღირს პირთა ხელში ხვდება და არათუ დანიშნულებისამებრ გამოიყენება, არამედ განადგურების ან საქართველოდან უმისამართოდ გაგანის საფრთხე ემუქრება.

კულტურული საუნჯე, რაც სხვადასხვა ჯურის აგრესორთა აურაცხელ შემოსევებს, მათ შორის, რუსეთის იმპერიისგან ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ოკუპაციას, ჭკვიანი მტრისა თუ უგუნური ნათესავის ხელყოფას გადაურჩა, ეს – აქამდე კირთებით, წვითა და დაგვით მოგანილი საგანძური, დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურთაგან განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და მზრუნველობას საჭიროებს.

პირველნაბეჭდი გამოცემების ყველაზე მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი კოლექცია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებშია დაუნჯებული. თუმცა მის სრულყოფილებას ვერც ქვეყნის უდიდესი წიგნსაცავი დაიხმებს. კიდევ უფრო დასანანია, რომ დღემდე მოუწესრიგებელია არა მარტო მსოფლიოში გაფანტული ქართული ძველნაბეჭდი წიგნების აღრიცხვიანობის

პრობლემა, არამედ ლამის გადაუჭრელ დილემად რჩება საქართველოს სხვა წიგნსაცავებში, განსაკუთრებით კერძო კოლექციებსა და ეკლესია-მონასტრებში დაცული ეგზემპლარების აღრიცხვისა და მოვლა-პატრონობის საკითხი, მათი მოძრაობის კონტროლი.

„ძველნაბეჭდი ქართული წიგნის“ მეორე ტომის პირველ ნაკვეთში გთავაზობთ 1629-1800 წლებში რომში გამოცემული წიგნების აღწერილობას. ცოცხა რამ მათი დაბეჭდვის ისტორიიდან:

მე-17 საუკუნე საქართველოში, ისევე როგორც ევროპის მრავალ ქვეყანაში, დრამატული მოვლენებით ხასიათდება. გლობალური და რეგიონალური ტენდენციები უარყოფით გავლენას ახდენდა ჩვენი ქვეყნის საშინაო ვითარებაზე, უწინარეს ყოვლისა, კულტურის განვითარებაზე. ეს პროცესი საბედისწერო სახეს იძენს შაჰ-აბასის დამანგრეველი შემოსევების გამო. ამ ვითარებაში ევროპული საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე კავკასიაში ქრისტიანობის არსებობის საკითხიც სათუო ხდებოდა. რაც კათოლიკური სახელმწიფოებისათვისაც არ უნდა ყოფილიყო ხელსაყრელი. ამას მოწმობს საქართველოსაკენ მისიონერთა ლგოლვა. მათ სარწმუნოებრივ მოღვაწეობაში პოლიტიკური ინტერესიც გამოსჭვიოდა: კათოლიკური ევროპის უმთავრესი ინტერესი ქრისტიანული ქვეყნის სახით სამხედრო-პოლიტიკური პლაცდარმის შექმნა იყო ოსმალთა მაჰმადიანური იმპერიის ბურგში, რასაც თურქთა ბეწოლა რამდენადმე მაინც უნდა შეემსუბუქებინა. ეს გარემოება ქართველობას ევროპასთან პოლიტიკური ურთიერთობის რეალურ შესაძლებლობას უქმნიდა, თუმცა დასავლეთი მეტად ფრთხილად ეკიდებოდა ამ საკითხს და ცდილობდა, უფრო მეტად სარწმუნოებრივ-რელიგიური თანამშრომლობა განეხორციელებინა.

მაჰმადიან მტერთაგან გამუდმებული შიშის ქვეშ მყოფი თეიმურაზ I ცდილობდა გამოეყენებინა ევროპასთან ურთიერთობის ყველა საშუალება. ამისათვის ევროპაში ელჩობის წარგზავნა გადაწყვიტა. ელჩის რთული მისია იერუსალიმში მოღვაწე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს დაეკისრა. რწმუნების სიგელით აღჭურვილი მამულიშვილი პაპთან შეხვედრის იმედით 1627 წელს ჩავიდა რომში. თუმცა ესპანეთში მისი ერთწლიანი გამგზავრების გამო ეს შეხვედრა გადაიდო.

რომში ამ პერიოდში გარეგნულად მშვიდი, მაგრამ რთული და აქტიური პროცესები მიმდინარეობდა. XVI საუკუნეში წარმოქმნილი პროტესტანტული მოძრაობის შოკიდან გამოსული ვატიკანი თითქოს გონს მოეგო. მან კონგრეგორმისტული გეგმები შეიმუშავა და მიზნად დაისახა ევროპაში დათმობილი პოზიციები აღმოსავლეთში აღედგინა. განხორციელებულ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო სამისიონერო სამსახურის გაძლიერება, რისთვისაც 1622 წელს ვატიკანში დაარსდა „კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოება“ (FIDE), რომლის ძირითადი დანიშნულება იყო აღმოსავლეთ ქვეყნებში სარწმუნოების მქალაგებელთა მომზადება და ახალი მისიების დაარსება. მისიონერ-მქალაგებელთა მოსამზადებლად საჭირო იყო მათი უზრუნველყოფა სათანადო ლექსიკონებით,

გრამატიკის სახელმძღვანელოებითა და საღვთისმეტყველო ლიგურაგურით.

1626 წელს „საზოგადოებაში“ რომში სახელმძღვანელო მბეჭდავის, სტეფანო პაოლინის მცდელობით საკუთარი გამოცემლობის დაარსებაც შეძლო. მოკლე ხანში სტამბა სხვადასხვა ენოვანი ოცნე მეტი სახის შრიფტით აღიჭურვა, რის გამოც გამოცემლობა „პოლიგლოფას“ სახელით გახდა ცნობილი. სტამბაში იმხანად ქართული შრიფტი არ ირიცხებოდა, თუმცა „საზოგადოებიდან“ წარგზავნილი მისიონერები აქტიურად კრებდნენ ცნობებს საქართველოსა და ქართველების შესახებ. მათ იცოდნენ, რომ ქართველებს ორიგინალური ანბანი და უძველესი დამწერლობა ჰქონდათ, ურჯულოთაგან მრავალგზის აწიოკებულ-აოხრებული სამშობლოს დამცველი და ქრისტეს მცნებათა მიმღევი მართლმადიდებლები იყვნენ. 1628 წ. რომში დაბრუნებული ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი „საზოგადოებას“ დაუკავშირდა, რომელსაც რომის პაპთან მისი შეხვედრა უნდა მოემზადებინა.

თუ ელჩის ერთადერთი სურვილი ურბან VIII-თან დაუყოვნებელი შეხვედრა და მისთვის თეიმურაზ მეფის წერილის გადაცემა იყო, კათოლიკური სასულიერო ელიტა სამწყსოს გამრავლებას ისწრაფვოდა. მათ წინა პლანზე იმ ცდომილებათა გარკვევა წამოსწიეს, რაც მართლმადიდებლობას კათოლიკურისგან განასხვავებდა.

საკითხის შესწავლა საქართველოში ნამყოფ მისიონერს – ფრანჩესკო ინგოლას დაავალეს. სხლომა, რომელიც „კონგრეგაციამ“ მოიწვია, 1628 წლის 20 მაისს გამართულა. კრების ოქმში აღნიშნულია:

1. მცირედი განსხვავებანი მართლმადიდებლურსა და კათოლიკურ რელიგიათა შორის საპატიოდ ჩაითვალა და ელჩს დახმარებას შეჰპირდნენ, თუ იგი კათოლიკობას მიიღებდა.

2. ოქმში მოხსენებული იყო, რომ უნდა შეიქმნას ქართული ასოების პუანსონები და მაგრიცები, რომლებიც როგორც სასულიერო, ისე საერო გეჰსტებში იხმარება, რათა ქართველებს შეეძლოთ საჭიროების შემთხვევაში წიგნების ბეჭდვა (რეალურად კი ის წიგნები და სახელმძღვანელოები უნდა დაებეჭდათ, რაც კათოლიკე მისიონერებს აბორიგენ მოსახლეობასთან ურთიერთობას გაუიოლებდა).

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი იძულებული იყო დათანხმებოდა პირველი პუნქტის პირობას. მკვლევართა ერთი ნაწილი ამ ნაბიჯს მას მკრეხელობად და რელიგიურ დაღაგად უთვლის, მეორენი ამართლებენ იმით, რომ ელჩი უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური მოღვაწეა, რომელიც თავისი ქვეყნის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის დაუღალავად იღწვის და მისიის საბოლოო შედეგის მისაღწევად შეიძლება არაორდინალური გადაწყვეტილებაც მიიღოს.

ცერემონიალის შესრულებისა და კათოლიკური წესით მონათვლის შემდგომ რომის პაპის რეზიდენციის კარი ნიკოლოზ ირბახისათვის (ასე ეწოდა მას მონათვლის შემდგომ) ფართოდ გაიღო. პაპმა იგი დაუყოვნებლივ მიიღო. ელჩს შესაძლებლობა მიეცა ემცნო მეფის დანაბარები და აეხსნა ყველა ის პრობლემა, რაც მის სამშობლოს ყოფნა-არყოფნის დილემად გადაქცეოდა. მას ყურადღებით მოუსმინეს, მაგრამ თეიმურაზ I-ის

სახელით წარდგენილ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად თვით მეფის კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცევა მოითხოვეს. 1628 წლის ბოლოს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი იგალიდან ევროპისა და რუსეთის გავლით სამშობლოში ბრუნდება ამ საკითხის თეიმურაზთან შესათანხმებლად. თუ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის დიპლომატიური მისია არცთუ მომგებიანად დასრულდა, რომში მისმა ყოფნამ ქართული კულტურის ერთი ღირსშესანიშნავი ფურცელი შეაფასო. მისი მონაწილეობითა და სტამბა „პოლიგლოგას“ ღილი მონღოლებით შეიქმნა ქართული პოლიგრაფიული შრიფტი, დაისტამბა პირველი ქართული ტექსტები.

1629 წლის აგვისტოში სტამბა „პოლიგლოგას“ უფროსი რომის პაპს ურბან VIII-ს უგზავნის წერილს, სადაც ვკითხულობთ: „გავითვალისწინეთ რა შემთხვევა მამა ნინიფორე ირბახოს მიერ თქვენს მაღალეწმინდესობისათვის საქართველოს მეფის წერილის მორთმევისა, რომელშიც ჩვენგან ვერავინ გაერკვა, სხვა შრიფტებს შორის ამ ენის ფრიალ მოხერხებული და მშვენიერი ასოებიც ჩამოვასხმევეინეთ. ამაში ყველაზე მეტად იგივე მამა ნინიფორემ გაგვიწია დახმარება, რომში ყოფნისას ჩაგვაწერინა ქართული ანბანი და რამდენიმე ათასი სიტყვა ამ ენაზე...“

სტამბასთან თანამშრომლობა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს 1628 წლის მაისიდან შემოდგომამდე უნდა ჰქონოდა. სულ რაღაც ნახევარი წლის განმავლობაში მის მიერ „ჩაწერილი“ ასო-ნიშნების მიხედვით დამზალდა მხედრული ასოების პუანსონები. შრიფტის კოლექციისათვის ლიგატურებიც მასვე შეუდგენია. მისი თანდასწრებით იგალიელი ჯანბაგისგა სოკელისა და უცნობ გერმანელ ასოთჩამომსხმელ ოსტაგს ფილიგრანულად შეუსრულებია ყველა სამუშაო.

„კათოლიკურსარწმუნოების გამაგრელებელი საზოგადოების“ ინგერესებიდან გამომდინარე, ელჩის უშუალო მონაწილეობით, წიგნების მომზადებაც დაწყებულა. „საზოგადოებას“ უკვე ჰქონდა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის გამოცდილება და აბორიგენ მოსახლეობასთან საურთიერთოდ შედგენილი აპრობირებული სახელმძღვანელოები. ამ სტამბაში უკვე გამოცემული იყო წიგნები ბერძნულ, ეთიოპიურ, არაბულ და სხვა ენებზე.

„საზოგადოების“ სტამბას ქართული შრიფტების დამზადების შემდგომ ორი წიგნის გამოცემა განუმრავლავს: პირველი, საცლელი გამოცემა იყო „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“. წიგნი რამდენიმე ვარიანტადაა დაბეჭდილი. საქართველოში ამ გამოცემის ერთადერთი ეგზემპლარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდშია დაცული, რამდენიმე ერთეულია აღრიცხული რუსეთის ფედერაციის ბიბლიოთეკაში.¹

უფრო მნიშვნელოვანი იყო „ქართულ-იგალიური ლექსიკონის“ მომზადება, რაც გიგანურ შრომას მოითხოვდა. დროის სიმცირის გამო, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს სტამბის მმართველი და ბრწყინვალე მბეჭდავი სტეფანე პაოლინი დახმარებია.

¹ ყოფილი პეტერბურგის მიხეილ სალგიკოვ-შჩენდრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა

ლექსიკონი 3084 სიტყვას შეიცავს. საერთოდ, სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობაში (შრიფტის დამზადებიდან ლექსიკონის რეპერტუარის შედგენამდე) მათი თანამშრომლობა 1628 წლის მაისიდან სექტემბრამდე უნდა შემდგარიყო. წლის ბოლოს ნიკოლოზი სამშობლოსაკენ მიმავალ შორეულ გზას გაუდგა. საქართველოში იგი 1629 წლის აგვისტოში დაბრუნებულა.

1629 წლის 1 აგვისტოს სტამბა „პოლიგლოგას“ მმართველმა აქილე ვენერიომ რომის პაპს ურბან VIII-ს გადასცა „ქართულ-იგალიური ლექსიკონის“ პირველი, სასიგნალო ეგზემპლარი.

ნიკოლოზ ირბახის გარეშე გირაჟირებული ლექსიკონი უამრავი კორექტურული თუ შინაარსობრივი შეცდომით დაიბეჭდა. მიუხედავად ამისა, გამოცემამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ენის პოპულარიზაციის საქმეში: გარდა იმ მისიისა, რისთვისაც სარწმუნოების გამაგრელებელმა საზოგადოებამ გამოსცა ნაშრომი, ლექსიკონი შეუმჩნეველი არ დარჩენილა აღმოსავლეთ ქვეყნებით დაინტერესებულ ევროპელ მეცნიერთათვის. ამ წიგნით გაიცნო ქართული ენა და დამწერლობა გოთფრიდ ლაიბნიცმა, ფრანც ბოფმა, მარი ბროსემ... გამოცემის საერთო გირაჟი უცნობია: მხოლოდ ხუთიოდე ეგზემპლარია აღრიცხული საქართველოში, აქედან ორი – ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდშია დაცული.

1977 წელს პროფ. ჯ. ვათიეშილიმა ვატიკანის ბიბლიოთეკაში მიაკვლია ამ პერიოდის კიდევ ერთ ფურცლოვან გამოცემას – 60 სტრიქონიან „ღვთისმშობლის სავედრების“ ქართულად ნაბეჭდ ტექსტს², რომლის თარგმანიც ასევე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს შეუსრულებია. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი საცლელ პოლიგრაფიულ ამონაბეჭდს წარმოადგენს ისევე, როგორც „ქართული ანბანის“ ვარიანტები. „ღვთისმშობლის სავედრების“ ამ ერთადერთ ცალს საქართველომდე არც ჩამოუღწევია.

„კათოლიკური სარწმუნოების გამაგრელებელი საზოგადოების“ საქართველოსთან ურთიერთობის შორსმიმავალ გეგმაზე მეტყველებს კიდევ ერთი წიგნის გამოცემა: თიანთელი ორდენის ბერმა, ფრანცისკო მარიო მაჯიომ საქართველოში ხანგრძლივად ყოფნის შემდგომ, მოზრდილი ნაშრომი წარუდგინა „საზოგადოებას“. ესაა „ნაშრომი აღმოსავლურ ენათა შესახებ, რომლებიც საქართველოს მხარეში იხმარება“. წიგნი ორი ნაწილისგან შედგება: პირველი შეიცავს „ქართული ანუ იბერიული სასაუბრო ენის გრამატიკულ წესებს“, მეორე – თურქული (აგრეთვე არაბული) ენების გრამატიკულ წესებს განიხილავს. წიგნის პირველი გამოცემა 1643 წელს განხორციელდა. ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა³ მიუკერძოებელ შეფასებას აძლევს ნაშრომს: „გრამატიკის სახელმძღვანელო

² ტექსტის ფოტოტიპური ასლი იხ. წიგნში: ა. ჩიქობავა, ჯ. ვათიეშილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები. – თბ., 1983, გვ. 289.

³ ა. ჩიქობავა, ფრ. მარ. მაჯოს ქართული გრამატიკა. – კრებ. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. – თბ., 1965, გვ. 26-54.

ღამღვეული არ არის სერიოზული შეცდომებისგან, მაგრამ მისი გამოცემა მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ ეს იყო ქართული ენის გრამატიკის შექმნის პირველი ცდა, რამაც ცხადია, დიდი ღვაწლი დასდო ქართული ენის პოპულარიზაციას ევროპის ქვეყნებში“.

მართლაც, მრავალი სწორი დაკვირვების გვერდით მაჯიოს ნაშრომში უამრავი მცდარი დასკვნაა. წიგნი საესეა ორთოგრაფიული შეცდომებით და დღესდღეობით იგი მხოლოდ ისტორიულ ინტერესს წარმოადგენს, თუმცა 1670 წელს აქტუალობის გამო მეორედაც გამოიცა. მის შესახებ პირველი რეცენზიაც გამოქვეყნებულა იგალიურ ჟურნალში.⁴ ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ნაშრომი დიდი გირაჟით დაისტამბებოდა, მაგრამ მაინც ძალზე მცირეა სახელმწიფო წიგნსაცავებში მათი რაოდენობა. საგარეულო, გამოცემისთანავე ეგზემპლარები საქართველოში მოღვაწე მისიონერებს უნაწილებოდა, ან მათ, ვინც შემდგომში ემზადებოდა ამ მისიის აღსასრულებლად. ამიგომაც ხშირი მოხმარების პროცესში ცვლებოდა და ნაღვურდებოდა.

განსაკუთრებული იშვიათობაა გრამატიკის პირველი, 1643 წლის გამოცემა. საქართველოში მისი არც ერთი ეგზემპლარი არ არის აღრიცხული. ნაშრომის შესახებ ინფორმაცია არ შესულა არც „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიის პირველ ტომში, რომელიც 1941 წელს გამოვიდა. მხოლოდ მოგვიანებით იქნა მიკვლეული წიგნის ერთადერთი ეგზემპლარი იმდროინდელ სალგიკოვ-შჩედრინის სახელობის პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდებში. ბიბლიოგრაფიული მონაცემები დამატებით ტომში აღიწერა, რომელიც 1969 წელს გამოვიდა. ნაშრომის ფოტოტიპური ვარიანტი 1983 წელს გამომცემლობა „ხელოვნებაში“ არნოლდ ჩიქობავასა და ჯუანშერ ვათიანიშვილის გამოკვლევებთან ერთად გამოიცა.

ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში მეორე, 1670 წლის გამოცემის 2 ეგზემპლარია დაცული. ერთ-ერთი მათგანი 1937 წელს ქმწკ საზოგადოების ფონდთან ერთად შემოვიდა. იგი დავით ჩუბინაშვილის კოლექციას მიეკუთვნება.

რომში XVII ს-ის ოციან წლებში მისიონერთა მოთხოვნით „პროპაგანდის საეკლესიო კოლეგია“ შეიქმნა, რომელიც ვალდებულებას იღებდა სამისიო ქვეყნებისათვის მოემზადებინა მღვდლები მსახურების კვალიფიციური წარმართებისათვის. აქ ორი ადგილი საქართველოსათვისაც იყო დათმობილი. სულხან-საბა ორბელიანის რეკომენდაციით 1723 წელს რომში წარგზავნილი 23 წლის გორელი ახალგაზრდა ყმაწვილი, გლუკაანთ დავითი 1725 წელი სასწავლებელში ჩაურთესხავთ. 1726 წელს მას ფიცი დაუდგია. 1732 წელს საჯაროდ, კარდინალის წინაშე დისერტაცია დაუცავს. 1733 წელს მღვდლად ეკურთხა ლათინურ გიბიკონზე და კაპუცინებთან მონაზვნად აღკვეცილა. 1734 წელს, ექვსი თვის ავადმყოფობის

⁴ . . . XVII . . . VII. – თბ., 1980. სტატიას ერთვის რეცენზიის იმ ნაწილის თარგმანი რუსულ ენაზე, რომელიც უშუალოდ ეხება მაჯიოს „გრამატიკას“. – გვ. 29-35.

შემდეგ, იგი გარდაცვლილა. კოლეჯში სწავლის პერიოდში მას დაუწვია ქართულ ენაზე საქრისტიანო მოძღვრების შედგენა, რომელიც 1733 წელს დაუსრულებია. წიგნი მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, თუმცა რამდენიმე ხელნაწერს საქართველომდევ ჩამოუღწევია. იგი მისიონერთათვის ფრიალ საჭირო სახელმძღვანელო გამხდარა. გლუკაანთ დავითის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ „პროპაგანდაში“ მისი ნაშრომის სტამბურად გამოცემა გადაუწყვეტიათ.

1741 წელს რომში მღვდელ ივანე ჯიგანანთის დამსახურებით დაიბეჭდა გლუკაანთ დავითის „საქრისტიანო მოძღვრება გინა წურთნა შვიდთა საილუმლოთა ბედა“ – ვრცელი ვარიანტი (368 გვ.). იმავე წელს გამოიცა „მოძღვრების“ მოკლე ვარიანტი (94 გვ.) – „შეპირად დასასწავლებლად“, რომლის შემდგენლად საგარეულოდ ივანე ჯიგანანთი უნდა მივიჩნიოთ, რადგან გლუკაანთ დავითი უკვე გარდაცვლილი იყო.

მოგვიანებით, 1797 წელს სახელმძღვანელო კიდეც ერთხელ გამოსცა „საზოგადოებაში“. ამჯერად რელაქტორად გვევლინება ახალციხელი სომეხი მღვდელი, სარწმუნოების გამაგრელებელი საზოგადოების სომხური და ქართული ენების მასწავლებელი, პაპის თარჯიმანი და რომში დეთისმშობლის სახელობის სომეხთა ეკლესიის უფროსი გრიგოლ ბალინანთი. მან თავს უფლება მისცა წიგნის ქართულ თაფურცელზე არასწორი ჩანართი გაეკეთებინა შემდგენლის ეროვნებაზე და იგი „გლუკაანთ სომეხ დავითად“ მოიხსენია. რელაქტორს საჭიროდ მიუჩნევია პირველი გამოცემის ვრცელი ვარიანტისათვის კიდეც ორი თავის დამატება. საყურადღებოა გამოცემაში გამოვლენილი შეუსაბამობა: 406–407-ე გვერდებზე გრიგოლ ბალინანთის მიერ დამატებული „შენდობის“ გექსტია მოთავსებული, რომელიც 1800 წლის 20 ოქტომბრითაა დათარიღებული, მაშინ როცა წიგნის ლათინურენოვან თაფურცელზე გამოცემის თარიღად 1797 წელია მითითებული.

უნდა ვივარაუდოთ, რომ წიგნი პირველი გამოცემის მსგავსად იყო გირაჟირებული, მაგრამ საჭიროებამ მოითხოვა თუ გრიგოლ ბალინანთმა ჩათვალა აუცილებლად, მას კიდეც ორი – მეცხრე-მეათე თავი დაამატა და ხელმოწერით დააფიქსირა თარიღი – 1800 წელი.

წიგნის ისტორიის მკვლევართათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გამოცემის ერთი ეგზემპლარი (FS 3788/1 09), რომლის ლათინურენოვან თაფურცელზეც დაბეჭდვის თარიღად ამჯერად 1800 წელია მითითებული, რაც იმას უნდა მიგვანიშნებდეს, რომ სახელმძღვანელო საკმაოდ პოპულარული გამხდარა. დამატებითი გირაჟისათვის ახალი სატიგულო გვერდი დაუბეჭდავთ ბალინანთის „შენდობის“ გექსტზე ხელმოწერილი თარიღის შესაბამისად.

იგალიაში ნაბეჭდი წიგნები, რომლებიც მისიონერებს საქართველოში უნდა გაეგრელებინათ, ხშირად გზაშივე ნაღვურდებოდა მუსულმანთა თავდასხმისას. ის ერთეული ეგზემპლარები, რომლებიც კათოლიკურ ეკლესიებსა და მრევლს ურიგდებოდა, ცვლებოდა და იკარგებოდა. ამიგომ გასაკვირი არ არის, რომ ეს

გამოცემები საქართველოში მხოლოდ XIX საუკუნეში მოექცა ქართველ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში (ალ. ცაგარელი, მის. თამარაშვილი...).


XX საუკუნის 70-იან წლებში გახდა ხელმისაწვდომი ვაგიკანის საარქივო ფონდი, რომელმაც საშუალება მისცა მეცნიერებს დაეზუსტებინათ წიგნების გამოცემის დეტალები. ამ მონაცემების გათვალისწინებით შექმნილი გამოკლევა ერთვის „პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები“-ს ფოტოტიპურ ასლს, რომელიც 1983 წელს დაიბეჭდა. (იხ. შენიშვნა №2).

განხილული გამოცემებით შემოიფარგლა იგალიაში „კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების“ სტამბა „პოლიგლოგაში“ დაბეჭდილი ქართული წიგნების ნუსხა.

„ქართული წიგნი“ ბიბლიოგრაფიის I ტომის I დამატებით ნაკვეთში (თბ., 1969, გვ. 9, №3) აღრიცხულია საქართველოს გარეთ, ევროპაში გამოცემული კიდევ ერთი წიგნი პირობითი სათაურით: [ქართული ანბანი.] ლაიფციგი, 1743. პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია ამ წიგნის ერთადერთი ეგზემპლარი, ყოფილი „წიგნის პალატის“ ფონდიდან საინვენტარო ნომრით p 1/1743.

მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ წიგნს არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია ქართული პოლიგრაფიული კულტურის განვითარებისათვის და არც სამეცნიერო ღირებულებით გამოირჩევა, აღწერილობაში მაინც შეგვაქვს, როგორც საქართველოს გარეთ დასტამბული წიგნი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ქართული ანბანის შესახებ.

ფერილე კვაჭანტირაძე



ქართულ-იგალიური ლექსიკონი.
რომი. 1629



formato questo carattere, & riuscito ingegnossissimo, e bello, si e poi conchiuso, con l'aiuto di esso Padre, che ha data luce di molte migliaia di Voci, stampare vn'Alfabeto con alcune orationi, & il presente Vocabolario. E tutto che il Vocabolario, per mancanza di tempo, non siasi potuto perfettionare, ha nondimeno Stefano Paolini, che per mio indirizzo e stato l'autore di notar le medesime voci, hauuto particular riguardo di pigliar quelle che sono piu comunemente vsate ne'famigliare disctorsi. E perche piu mai, che si sappia, non e stata in Europa stampata opera in questa lingua, pero vscendo questa primieramente alla luce, dee portar in fronte il gloriso nome di V.B. i raggi della cuivera, e santissima carita l'hanno tratta da partitanto remote, & innalzatala a dispiegar misteri & insegnamenti della vera Catolica Fede. Io confido che la SANTITA VOSTRA tra le vaste incubenze del gouerno, del Mondo tutto, trouera tempo d'inclinare, con pia curiosita, vno sguardo alla nouita di quest' opera, e come quella che e Cuore della Magnanimita, & delle Virtu tutte, non sdegnara ch'io le consagri questa fatica, la quale riuerentemente lascio appoggiata al santissimo sostegno della Suprema Autorita sua, & li bacio li Santissimi Piedi.⁶ Della Santita Vostra“.

შინაარსი:

Alfabeto Giorgiano [ქართული ანბანი]⁷ – 1-2 გვ.

⁶ რომის პაპის ურბან მეორესადმი (1623-1644 წწ.) აქილე ვენერიოს „მიძღვნის“ ვრცელ ხელნაწერს პროფ. ჯუანშერ ვაითიშვილმა 1978 წელს მიაკვლია „პროპაგანდა ფილს“ არქივში. მისი დასკვნით, გექსტის ერთი ნაწილი, რელაქციულად ჩასწორებული, დაუთარილებლად ჩაურთავთ „ქართულ-იგალიური“ ლექსიკონში (1629 წ.). მეორე – შეღარებით მომცრო, შემოკლებული ვარიანტი, გამოუქვეყნებლად დარჩენილა. გექსტის ქართული თარგმანი პირველად დაიბეჭდა წიგნში: არნ. ჩიქობავა, ჯ. ვაითიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები. - თბ., 1989, გვ. 14-15. მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველობის გამო, მოგვეყვას აღნიშნული „მიძღვნის“ შემთხვევითი თარგმანი: „უნივერსალური მამაო“, სარწმუნოების გამაგრებელი კმ. კონგრეგაციის მისიონერების ყოველდღიური რელაციებიდან უკუყი, რაოდენ მნიშვნელოვანია კათოლიკური რელიგიის გავრცელებისათვის ბეჭდვა კარგი წიგნებისა, განსაკუთრებით კათოლიკეებისა სხვადასხვა ენაზე ... იმავე წმ. კონგრეგაციამ, აწუხებდა რა ეს საკითხი, დიდი განსჯის შემდგომ წინდახედული გადაწყვეტილება მიიღო შეექმნა სგამბა მრავალენოვანი შრიფტით, განსხვავებით კი იმ ენებზე, რომლებიც მეტადაა გავრცელებული და საერთოა მრავალ ხალხთათვის. ამ მიზნით უკვე იბეჭდება წიგნები ღრმა რწმენით, რომ ეს იმაზე მეტ ნაყოფს გამოიღებს, რასაც ღვედვით აკეთებდნენ ან აკეთებენ მისიონერები. გაუთვალისწინეთ რა შემთხვევა მამა ნიქოლოზ ირბანოს მიერ თქვენი მაღალწმინდისათვის საქართველოს მეფის წერილის მორთმევისა, რომელშიც (შეენგან) ვერავენ გაერკვია, სხვა შრიფტებს შორის, ამ ენის ფრიალ მოხერხებული და მშვენიერი ასოებით ჩამოვასხმევენ(თ). ამაში ყველაზე მეტად იგვიე მამა ნიქოლოზმა გაგვიწია დახმარება, რომში ყოფნისას ჩაგვაწერინა ქართული ანბანი და რამდენიმე ათასი სიგვე ამ ენაზე. დაბოლოს, უკვე დაიბეჭდა ანბანი და ფსალმუნი სხელებული ლექსიკონითურთ სახელმძღვანელოდ მისიონერთათვის, რომლებიც ან უკვე იმყოფებიან საქართველოში, ან მომავალში აპირებენ გამგზავრებას. მართალია, ლექსიკონი მთლად სრულად არაა, რადგან ღრო ცოტა იყო: თანაც სკეფანი პაოლინის, რომელიც ჩემი მითითებით ხელმძღვანელობდა, უნდა შეერჩია უფრო მეტად გავრცელებული სიგვეები, რაც გამოსადეგი იქნებოდა ყოველდღიურობაში – თხრობაში, საუბარში, ანგარიშში, ვიმელოცებთ, რომ შემოთხვენებული ანბანი და ლექსიკონი ფრიალ გამოადგებათ მისიონერებს და რადგანაც ჯერ ევროპაში ამ ენაზე აქამდე არაფერი დაბეჭდილა, იხილა თუ არა ამ წიგნმა მშის შუქი, მყისვე გადაეწყვიტე იგი მომეძღვნა და მომერთმია მხოლოდ და მხოლოდ თქვენი უწმინდესობისათვის და არა სხვისთვის, რამეთუ თქვენი მაღალღირსების წყალობით დაარსდა სხელებული სგამბა. უმორჩილესად, გთხოვთ პატივი დამლოთ და მიიღოთ ჩემგან ის მცირე ნამუშევარი, რასაც მთლიანად თქვენს უწმინდესობას ვუძღვნი და მოვართმევ. ღმერთსა ვთხოვ თქვენს უსაზღვრო ბედნიერებას. მიწამდე გიხრით თავს და გემთხვევით წმინდა ფესებზე“.

⁷ ქართული ანბანის თანამიმდევრობა არ არის მუსგად დაცული. ა და ჯ ასო გამოტოვებულია. ყოველი ქართული ასოს გასწვრივ – ლათინური შესატყვისია, თავისებურ ბგერათა განმარტებით. იხ. დანართი I, 1.



ლექსი იბერიგო ფრანხი. Dittionario Giorgiano – Italiano [ქართულ-იგალიური ლექსიკონი]⁸ – 1-126 გვ.

Numeri [რიცხვები] – 127-128 გვ.

Tavola dalla voci Italiane [ლექსიკონის საძიებელი იგალიური სიგვეებისათვის]⁹ – [1-48] გვ.

გაფორმება:

1. კათოლიკური სარწმუნოების გამაგრებელი საზოგადოების საგამომცემლო ნიშანი, სიუეტიკური მინიატურული გრაფიურა გარშემოწერილობით: „OMNI CREATVRAE EVENTS IN UNIVERSUM MUNDUM PRAEDICATE EVANGELIUM“. [„წარველით ყოველსა სოფელსა და უქალბატე სახარება ესე ყოველსა დაბადებულსა“]¹⁰
2. გექსტის ბოლოს ჯერის ფორმის სამკები – 2, 118 გვ.
3. ყოველი ასო ნიშნის რეპერტუარის ჩამონათვალის ბოლოს მარტივი მოხაზულობის ჰორიზონტალური მხაგვრული გამყოფები – 9, 12, 16 გვ. და ა.შ.

1. FS 3 852/09¹¹ – ქართულ-იგალიური ლექსიკონი. – რომი. – [1629] – [4], 128, [48] გვ. სრული ცალი.

ყდა: (16X11) სმ. მუყაოსი, ყავისფერი კოლენკორით.

მინაწერი: ქმწკგ საზოგადოების საკლასიფიკაციო ნიშანი – ბ.8⁰30 და რიგითი ნომერი № 3852, შავი მელნით – თხელ ყდაზე.

ბეჭედი:

1. ქმწკგ საზოგადოების – თხელ ყდასა და მე-3 აღუნუსხავ გვერდზე.
2. უცხოენოვანი, იკითხება მხოლოდ ფრაგმენტით: „ORIENTALIET EUROPEENNE“ – თხელ ყდაზე.
3. იქვე: ბეჭედი წარწერით: „სახლში არ გაიცემა“.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში შემოსულია 1937 წ. ქმწკგ საზოგადოების კოლექციასთან ერთად.

2. FS 5 537 [ქართულ-იგალიური ლექსიკონი] – რომი. – 1629. – [4], 128, [48] გვ. სრული ცალი.

⁸ ქართული სიგვეა გადმოცემულია პარალელურად იგალიური ტრანსკრიპციით და იგალიურად თარგმნილია. ქართულ გექსტში მრავალი იგალიანიზმები და ბერძნული სიგვეებია. იხ. დანართი I, 2.

⁹ საძიებელში ანბანურადაა დალაგებული ლექსიკონში შესული იგალიური სიგვეები, ყოველი იგალიური სიგვეის შესატყვისი ქართული ტერმინის მოსაძებნად, გვერდისა და სტრიქონის მითითებით.

¹⁰ თარგმანი იხ. მ. თამარაშვილი, კათოლიკობის ისტორია საქართველოში. – თბ., 1901, გვ. 343. კათოლიკური სარწმუნოების გამაგრებელი საზოგადოების ემბლემა (I ვარიანტი); იხ. დანართი I, 3.

¹¹ ჩუბინაშვილების პირადი ბიბლიოთეკის ეგზემპლარი.



ყდა: (16X11) სმ. მუყაოსი, კოლენკორგადაკრული. ყუა: ყავისფერი, გატყეული, სარესგაგრაცო.

ბეჭელი: ქმწკგ სამოგალოების – თავფურცელზე.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში შემოსულია 1937 წელს, ქმწკგ სამოგალოების კოლექციასთან ერთად.



Figura.	Nome.	Potenti.
ფარ	Far	f, ph,
ჭა	Cha	ch,
ყარ	Car	c,
გან	Gan	g, Ital. ga, go, gu.
შინ	Scin	ic, Ital. scia, fce, fci, fciò, fciù.
ჩიენ	Ciuen	ci, Ital. cia, cio, ciu.
ჯან	Zan	z, z, come in Ital. zoppo.
ჯილ	Zil	z, &
ჯილ	Zil	z, come in Italiano, Zio.
ჭაჰარ	Chahar	ch, come in Spagn. hecho.
ჩან	Chan	ch, come il ח Hebr.
ჩარ	Chhar	chh, come il ح Arab.
ჯიან	Gian	g, Ital. gia, gio, giu.
ჰოი	Hhoi	hh,

ლექსი

ქართულ-იტალიური ლექსიკონი.
რომი. 1629



მაჯიო ფრანცისკო-მარია. ქართული ენის გრამატიკა. რომი. 1670. თავფურცელი.

მაჯიო ფრანცისკო-მარია. ქართული ენის გრამატიკა¹² [მე-2 გამოცემა]¹³. – რომი: კათოლიკურისარწმუნოების გამაგრცელებელი საზოგადოების სტამბა. – 1670.

[1], [8], 143 გვ.

შრიფტი: ქართული (მხედრული, კალიგრაფიული, ხუცური), ლათინური, არაბული და სომხური. 10 სტრ.= 6 სმ. გვერდზე 39 სტრიქონი.

ტიპოგრაფია და ფასი: მითითებული არ არის.

თავფურცელი – „Sintagmation Linguarum Orientalium quae in Georgiae regionibus audintur Liber primus. Complectens Georgianæ, Seu Ibericæ vulgaris Linguae Institutiones Grammaticae Authore D. Francesco-Mario Maggio, clerico regulari, panormitano. Romae. – Ex Typographia Sacrae Congregationis de Propaganda Fide. – MDCLXX [1670]. Superiorum permissu“.

„ნაშრომი აღმოსავლურ ენათა შესახებ, რომლებიც საქართველოს მხარეში იხმარება. წიგნი პირველი, რომელიც შეიცავს ქართული ანუ იბერიული სასაუბრო ენის გრამატიკულ წესებს. შედგენილი დ. ფრანჩესკო-მარია მაჯიოს მიერ... რომში, სარწმუნოების გამაგრცელებელი წმინდა კონგრეგაციის სტამბიდან. – MDCLXX [1670]. უბენაესი ნებართვით“.¹⁴

შმუცტიგული – წიგნის სათაური ლათინურ ენაზე, საგამომცემლო მონაცემების გარეშე.

მაჯიო ფრანცისკო მარიას მიძღვნა რომის პაპის ურბან მერვისადმი. გექსტი ლათინურ ენაზე – გვ. [5-9]

ფრანჩესკო ინგოლას მიმართვა კათოლიკურისარწმუნოების გამაგრცელებელი საზოგადოების მდივნის, სტეფანუს მელიჩისადმი. გექსტი ლათინურ ენაზე – გვ. [10].

გექსტი:
ნაწილი პირველი – ორთოგრაფია: Orthograpia prima pars grammatices. Hoc est. De recfa legend, ac scribendiratione institutiones – 1-31 გვ.

ნაწილი მეორე – ეტიმოლოგია: Etymologia altera pars grammatices Hoc est De partium Orationis formation institutiones – 32-110 გვ.

¹² გამოცემა ერთ ყდაში აკინძული ორი დამოუკიდებელი ნაშრომისგან შედგება ცალ-ცალკე პაგინაციით. მეორე წიგნი რეგიონში ხმარებულ ენათა – თურქულის და არაბული ენების შედარებითი გრამატიკაა. იხ. დანართი I, № 4.

¹³ ჩანს გამოცემის განმეორება მისი აქტუალურობით იყო გამოწვეული. რეალურად მოხდა ტირაჟის გაძეობა, რადგან ნაშრომში არ შეინიშნება რედაქციული ანსხვასახის შესწორებები.

¹⁴ მოცემული თარგმანი და ნაშრომის შესახებ გამოკვლევა – ჩიქობავა არნ. „პირველი ქართული ლექსიკოგრაფიული და გრამატიკული ნაშრომების შესახებ“ – იხ. წიგნი: ა. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები. გვ. 27-43.



ნაწილი მესამე – სინტაქსი: Syntaxis. Tertia pars grammatices Hoc est Departium Orationis constructione institutiones – 113-124 გვ.

ნაწილი მეოთხე – პროსოდიკა: Prosodia quarta, et ultima pars grammatices Hoc est De Syllabarum dimensione, Institutiones – 124-130 გვ.

ნაწილი მეხუთე – კათეხიზმი ქრისტიანული – 137-140 გვ.

ნაწილი მეექვსე – ლეთისმშობლის სავედრებელი – 141-143 გვ.

გაფორმება:

1. გრაფიკა: ქრისტიანული მოძღვრების მოციქულებს, გარშემოწერილობით: „OMNI CRE- ATVRAE EVENTS IN UNIVERSUM MUNDUM PRAEDICATE EVANGELIUM“¹⁵ – სატიტულო გვერდზე, ოვალურ ჩარჩოში.
2. მხატვრულად გაფორმებული ასო-ნიშნები: ლათინური – E – გვ. [5], F – გვ. [7], Q – გვ. 33, S – გვ. 113, P – გვ. 123; ქართული – კ – გვ. 141, მ – გვ. 137-138.¹⁶
3. ტექსტის გამოფენა: 2, 5, 15, 130 გვერდებზე.
4. თავსამკი გრაფიკები: 1, 5, 16, 113, 123, 125, 137 გვერდებზე.
5. ტექსტის ბოლოსამკები: [12], 15, 32, 64, 110, 111, 130 გვერდებზე.

1. E 371/509 – მავიო ფრანცისკო-მარია. ქართული ენის გრამატიკა – რომი. – 1670. – [1], [8], 143 გვ.

ყდა: (34X23) სმ. მკერივი მუყაოსი, გადაკრული აქვს ორ სეგმენტად ქალაღლი: პირველი ნაწილი – ცყავს მისაღაგებული, მეორე ნაწილი – მარმარილოსებრი მოხატულობის.

სარესტავრაციო: ყუა – ცყავი გადამსკლარია, კორპუსს მოცილებულია ყდის 1/3. ფურცლები საჭიროებს დაწნეხვას.

ჩანართი: აღურისცხავი გვერდების წინ და ტექსტის ბოლოს 2-2 დაუწერელი ფურცელი.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1936 წელს.

2. TS 783/09¹⁷ – მავიო ფრანცისკო-მარია ქართული ენის გრამატიკა – რომი. – 1670. – [1], [8], 143 გვ.

ყდა: (35X23) სმ. მკერივი, ცყავგადაკრული. ოქროსფრად მოვარაყებული ორნამენტული ჩარჩო, ფორმაცებად გამოყენებულია მარმარილოს ნახატის ქალაღლი. ყუამე: წიგნის ავტორი და სათაური – „F. M. Maggio, Syntagmata Linguarum, Orientalium“. მეთაური ასოები – სინგურით.

¹⁵ თარგმანი ის. შენიშვნა 10

¹⁶ მსგავსი თავსართი ასოები გამოყენებულია „ქართული-გალიურ ლექსიკონში“ (1629).

¹⁷ დავით ჩუბინაშვილის პირადი კოლექციის ეგზემპლარი.



სარესტავრაციო წინა ფრთა, მოცილებული კორპუსს.

ბეჭედი: ქმწკგ სამოგალოების მრგვალი ბეჭედი. – შმუცტიგულსა და 95-ე გვერდზე.

ბიბლიოთეკაში შემოსულია ქმწკგს კოლექციისასთან ერთად 1937 წელს.





საქრისტიანო მოძღუარება...
რომი. 1741. თავფურცელი.

საქრისტიანო მოძღუარება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა
ზედა ... – რომი: კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი
საზოგადოების სტამბა. – 1741.

368 გვ. = A⁸-Z⁸ ფ.

შრიფტი: ლათინური და ქართული (მხედრული); სიმაღლე ქართულის
– 10 სგრ.= 8 სმ. გვერდზე 20-21 სტრიქონი. ლათინური – 10 სგრ.=3.5
სმ. გვერდზე 37 სტრიქონი. ქართული გექსგის ანაწყობი (13.5X8.5)
სმ. ლათინური – (14 X8.5) სმ.

პაგინაცია: რიცხობრივი, საერთოა გექსგისა და საძიებლისათვის.
ლაუნომრავია 1-5 გვ.

სიგნატურა: ასოებრივ-რიცხობრივი.

ბეჭდვა: ერთ ფერში.

გირაჟი და ფასი მითითებული არ არის.

თავფურცელი¹⁸ – „Dottrina Cristiana Per uso delle Missioni della Giorgia. Dedi-
cata All'Immacolata Concezione della Madredi Dio Maria Sempre Vergine. Tradotta
Della Lingua Italiana in Lingua Civile Giorgiana DA David Tlukaanti Giorgiano Alu-
nno dell'Venerabil Collegio Urbano de Propaganda Fide Per il commune, e spirituale
prositto dei Cattolici della medesima Nazione. – In Roma, – MDCCXLI [1741], Nella
Stamperia della Sagra Congregazione de Propaganda Fide. Con licenza de Superiori“.

„Imprimatur, Si videbitur Reverendissimo Patri Sac. Palatii Apost. Mag. Pb. Spa-
da Archiepisc. Theod, Vicesgeres.

„APPROBATIO¹⁹ – E Go Fr. Claudius a Regio Ord. Cappuccin. S.P. Francisci

¹⁸ თავფურცელი ორენოვანია, ქართული დაბეჭდილია ლათინური შესავლის შემდეგ. გექსგის
იხ. ქვემოთ.

¹⁹ წინათქმათა გექსგის გაწვდით მ. თამარაშვილისეული თარგმანით: „მე ძმა კლაუდიო რეჯიელი წმინდა
ფრანჩისკეს კაუციონების წესისა, მოქალაქე აგრეთვე სამოციქულო პროტონოტარი, სპარსეთის სამეფოს,
უმეგესად აღმოსავლეთის იერიის ანუ საქართველოს მისიონში თერთმეტი წლის ყოფნის შემდგომ,
პროფესორი სომხური და ქართული ენისა, ჩემს იქ ყოფნის დროს, მონდობილ სულთა სასარგებლოდ, ხშირად
ენმარობდი ამ წიგნს, რომელსაც ჰქვიათ „საქრისტიანო მოძღუარება საქართველოს მისიონერებისათვის
სახმარებლად“ დიდად პატივცემული გორელი ქართველი დავით გლეკიანი, პროპაგანდა ფილს ურბანის
კოლეჯის მოწაფის მიერ შედგენილი და მისგანვე მშვენიერ ქართულ ენაზე გამოცემილი. იმ დროიდან დიდად
ენაგრობდი, რომ ეს წიგნი დასაგამბულ იყო მისიონერების და იმავე ერის სასარგებლოდ, რადგან თუ პირველნი
და თუ მეორენი სრულად მოკლებულნი არიან ამისთანა ქართულად დაბეჭდილი წიგნისა, ხოლო ამ რომში
ესევე წიგნი რა ენაზე, პატივცემული ბ. ივანე ჯივანანთი გვილისელი ქართველ ამავე წმინდა პროპაგანდის
კრების მოწაფესთან, საჭიროდ შევერაცხე და მას ვუჩინე მისის დაბეჭდვინება და საქართველოში გაგზავნა
ბლომად რაოდენათაც კი შესაძლებელი იყო, რადგან ყველასათვის სასარგებლო იქმნებოდა. აწ ვაცხადებ, რომ
ამ სხენებულ წიგნში არაფერი იპოვება რაიმე წინააღმდეგი წმიდა ღვთაებისა და კათოლიკე მწიგნობრისა; ეს
დიდად შეეწევა კათოლიკე სარწმუნოების გაფრცხვანებას და ქრისტიანობის გულ-მხურვალეობის გაძლიერებას.
ამიგომ ყოელად პატივცემულს სამოციქულო პალატის მოძღვარს და მათ ვისაც კი შეეხება, მოეხსენებ, რომ
არა მარტო საჭიროდ ვრაცხ, არამედ დიდათაც ვევედრებ, რათა უბრძანონ და ეს დაბეჭდვინონ, რასგამო
მიიღებენ დიდს სასყიდელს მისგან, რომელმაც სთქვა: „წარედით ყოველსა სოფელსა და უქალაქეთ სახარება
ესე ყოველსა დაბეჭდულსა“. ამის დასამტკიცებლად და შესამოწმებლად ჩემს საკუთარ ხელს ვაწერ და ვუცვამ



Concionator, nec non Protonotarius Apostolicus, post undecim annos Missionum in Regno Persarum, praecipue in Iberia Orientali seu Georgia, Armenae & Georgicae linguarum Professor; cum ibidem non sine magno mei oblectamento, ac emolumento Animarum curae meae demandatarum frequenter prae manibus habuerim librum, cui titulus est: Dottrina Cristiana per uso delle Missioni della Giorgia: per admodum Reverendum D. David Tlukaanti a Goride Georgianum jam Aluminum in hoc Ven. Collegio Urb. de Propaganda Fide compositum, & ab eodem peregre lingua Georgica expressum, ex tunc summopere optaveram typis mandatum ad non modicatum tum Missionariorum, tum illarum Nationum utilitatem, cum tam illi, quam istae prorsus destituantur hujusmodi libris idiomate Georgico exaratis. Cum autem hic Romae eundem librum viderim apud Rev. D. Joannem Gigananti Tiplisensem. Georgianum hugusce Sac. Cong. de Propag. Fide Alumnum; Optimum duxi eidem consulere ejusdem libri impressionem, illucque transmissionem eo masori, quo posset numero, ut totisdem esset beneficio; cum fatear in dicto libro non solum procul esse quidquid minimum Sacris Dogmatibus & Catholicis moribus non consonum sed abundare potius, quocumque mirum in modum conducere potest ad Fidem Catholicam ac Christianam pietatem. Ideoque si ita Romae D. Sac. Palatii Magistro, & aliis quibus spectat, videbitur, non tantum uccessum puto, sed & obnix precor, ut mandent, & curent dictum librum typis mandari, magnam remunerationem ab Illo obtenturi qui dixit: Euntes in mundum universum praedicate Evangelium omni Creaturae.

In quarum fidem praesentem paginam meae testationis, & obtestationis propria manu sZirmatam, ac sigillo, quo utor, munitam do. Romae in Conventu Capuccinorum 22. Aprilis anno Domini 1740. Fr. Claudius a Regio Capuccinus qui supra“ – [3-4] გვ.

„APPROBATIO²⁰ – E Go infracriptus Ven. Collegii Urb. De Propaganda Fide Alumnum, fidem facio ac tefitor, me summa animi voluptate perlegisse librum, cui titulus: Dottrina Cristiana per uso delle Missioni della Giorgia: desumptum, compositum, & egregie traductum per admodum Rev. D. David Tlukaanti a Goride Georgianum ejusdem

ბეჭედს, რომელსაც მე ვხმარობ. რომის კაფუცინების მონასტერში, 22 აპრილი, 1740 წ. ძმა კლაუდიო რეჯილი კაფუცინი“. იხ. მის. თამარაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 344.

²⁰ „მე ქვემოთ ამისა ხელის მომწერი, პროპაგანდა ფიდეს, ურბანოს კოლეგიის მოწაფე, ვმოწმობ და ვაცხადებ, რომ დიდის სიამოვნებით წავიკითხე წიგნი: სახელად „საქრისტიანო მოძღვრება საქართველოს მისიონერების დასახმარებლად“, რომელიც შემოჰკრიფა, შეადგინა და მშენებრად სთარგმნა ამავე კოლეგიის მოწაფემ პატივცემულმა გლეკუკანთ დავით გორელ ქართველმა. ეგრეთვე ვაცხადებ, რომ წიგნი არა რაი იპოვნების წინააღმდეგი კათოლიკე სარწმუნოებისა, ან კეთილი მნებობისა. ამიგომ არა თუ რაიმე ცენზურის ღირსია ესა, არამედ დიდად სასიკეთო იქმნება, რომ გამოიციმოდეს იმ ერის სულიერის დიდი საჭიროებისათვის, რადგან სრულად მოკლებულია თავის ენაზე საჭირო წიგნებს. რომის იმავე კოლეგიაში 19 მარტსა 1741 წ. ივანე ჯივანანთი, გფილისელი ქართველი.“ იხ. მის. თამარაშვილი, დასახელებული ნაშრომი გვ. 345.



Ven. Collegii Alumnum: & sateor procul ab eo esse vel quid minimum Catholicae Fidei, bonisve moribus non consonum. Qua de re non censura, sed propter extremam illarum Gentium spiritualem indigentiam, quae hujusmodi libris suo idiomate expressis prorsus sunt destitutae, in lucem exire quam justissimum, arbiator. Romae ex eodem Coll. Die 19. Martii A. D. 1741. Joannes Gigananti a Tiflis Georgianus“ – გვ. [4].

თავფურცელი – „საქრისტიანო მოძღვრება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა ზედა, გარდმოთარგმანებული იგალიანის ენისაგან ქართველს მხედრულს ენასა ზედა. საქართველოს გორელი გლეკუკანთ დავითისაგან. მთვრობასა კლემენტომ მეთორმეტე²¹ ჰრომის პაპისასა. სასწავლოსა შინა უცხოთასა, რომელსა ეწოდების ფრაფაგანდა ფიდე. საღიღებლად ღელა ღთისა მარიამ ქალწულის უმანკო ჩასახვისათვის და სასარგებლოდ ძმათა და ღათა სულიერთა სულთათვის ქორონიკონი ჩლგ [1733] ესე იგი არს, ათას შვილას ოცდაცამეტი²² ბრძანებითა უფროსთა“ – გვ. [5].

[გლეკუკანთ დავითი], შეწირვა უმანკო ქალწული ღელა ღთისა მარიამისა მიმართ – „ჰეი ღელაო, ღთისაო მარიამ ქალწულო, რომელი უმანკოთ ღარნი აღამის ცოღვისაგან, რომლისა თანამღებნი შეიქნენ ყოველნი ძენი მისანი; გარნა შენა პირველ გამოგარჩია მამამა ღმერთმა თავის ასულათა; ძემა ღთისამან პირველ გამოგარჩია თავის ღელათა; სულმა წმიდამა ღმერთმა პირველ გამოგარჩია თავის სძლათა; წმიდა სამებათა და ერთმა ღმერთმა შეიძლო შენი უაღამისცოღვოთ ჩასახება; ინდობა შენი უაღამისცოღვოთ ჩასახება; გეკადრებოდა შენ უაღამისცოღვოთ ჩასახება, რამეთუ ღმერთმა თავის ასულათ, ღელათ, და სძლად უწინარეს განსგასზღვრა; მაშ აბა ღმერთმა ქმნა, რომე შენ უაღამისცოღვოთ შობილიყავ.

აწე ამ ყოვლად დიდი აზაგობისა შენისათვის გევედრები, რომე ჩემს სულიერს ძმებსა და ღებსა კათოლიკებსა მისცე გონება, ნათელი, ცნება, გულისყური, და ნება ამ საქრისტიანო მოძღვრების ზეპირად დასასწავლებლად, რათა შენის მეოხებით იცნან ჭეშმარიტება; ივლგონენ ყოელთ ცოღვითგან, იზრახევენ, იგყოდენ და იქმოდენ კეთილსა; შენ გმსახურებდენ გულისა და სულის უმანკოებით; და შემდგომად ეწივნონ საუკუნოს სასუფეველსა შინა, რათა მუნ ჰგებდენ უკუნიითი უკუნისამდე. ამენ.“ თქვენი ყოვლადმღაბალი, მარადის მონა, უღირსი მღვდელი გლეკუკანთ დავით“ – გვ. 6.

[გლეკუკანთ დავითი], წურთნა წამკითხავათვის – „სულიერთ ძმათა, და ღათა სიყუარულისათვის, გარდმოვთარგმანე იგალიანის ენისაგან, ესე მოკლედ ღარიგებული საქრისტიანო მოძღვრება ქართველის მხედრულს ენასა ზედა.

²¹ კლემენტომ მეთორმეტე, რომის პაპი (1730-1740 წწ.).

²² 1733 წელი სახელმძღვანელოს შედგენის წელია. იხ. თამარაშვილი მიხეილ, დასახელებული ნაშრომი გვ. 343.



აწე ძმანო, და დანო სულიერნო, დიდის ცდით, და სიყუარულითა ეცადენით, რომე გეპირათ ისწავლოთ; ამისათვის, რამეთუ ვითარცა ყოელი ხელოსანი თავის ხელოსნობას უპასუხებს, და იქს ასრევე ქრისტიანი თავის ქრისტიანობას უნდა უპასუხებდეს, და იქმოდეს: ხოლო უკეთუ ხელოსანმა თავის ხელობა არ ამუშაოს, მისთვის დიდი სირცხვილი იქნება; ასევე თუ ქრისტიანმა თავის ქრისტიანობა საქმით არ ამუშაოს, არათუ თათრისაგან უარესი იქნება სააქოსა, მაგრამ უეჭველად საიქიოსაც წაწყდება.

აჰა, ქრისტიანის ვალი ეს არის, რომე ეს გეპირათ ისწავლოთ და ამით კეთილმოქმედებაში ინაყოფიეროთ, აწე ესრედ უწყოდეთ, რომე ეს საქრისტიანო მოძღუარება ფრიალ მსოფლიო ენასა ზედა აღვწერე; ამისათვის რამეთუ ენა ქართველის ხუცური თავად არ ვიცოდი და თუ რამე ცოტა ვიცოდი ისიცა და მხედრული ენაც დამავიწყდა ჭეშმარიტად ასერ თითქმის ათი წელიწადი არის, რომე ქართველის ენისა და წიგნის მონაგრე შევიქენ ხოლო ხარის წილად ხანი და სხუაცა ამისაებრ მრავალნი ლუაჭნილნი; არამედ ოლომც უმეცარნი და უმცირესნი თუინიერ ვახშისა არა მიიქცენ უკანა, ხოლო მეცნიერთა ამხილონ მე ჩემდა რა? და ჩემის ნაკლებობისათვის, თქვენგან სიმდაბლით შენლობასა ვთხოულობ“ – გვ. 8-10.

ტექსტი:

გლუკაანთ დავით[ი] – შეწირვა უმანკო ქალწული ღება ღვთისა მარიამისა მიმართ – გვ. 6.

გლუკაანთ დავით[ი] – წურთნა წამკითხავთათვის – გვ. 8.

ლოცვა საქრისტიანო მოძღუარების სწავლების პირველ სათქმელი – გვ. 11.

ლოცვა საქრისტიანო მოძღუარების სწავლების უკან სათქმელი – გვ. 12.

ვრცელი საქრისტიანო მოძღუარება... საკითხავი 1-16 – გვ. 13.

თავი პირველი: წურთნა ნათლის ღებასა ზედა – გვ. 90.

საკითხავი პირველი – გვ. 90.

საკითხავი მეორე – გვ. 95.

თავი მეორე: წურთნა მირონის ცხებასა ზედა – გვ. 102.

საკითხავი მარტო ერთი – გვ. 102.

თავი მესამე: წმიდა მთარებასა ზედა – გვ. 108.

საკითხავი პირველი – გვ. 108.

საკითხავი მეორე – გვ. 114.

საკითხავი მესამე – გვ. 122.

საკითხავი მეორე²³ – გვ. 132.

²³ უნდა იყოს: საკითხავი მეოთხე.



საკითხავი მეხუთე – გვ. 140.

საკითხავი მეექვსე – გვ. 149.

საკითხავი მეშვიდე – გვ. 154.

საკითხავი მერვე – გვ.

საკითხავი მეცხრე – გვ. 161.

თავი მესამე:²⁴ განლობასა ზედა – გვ. 174.

საკითხავი პირველი – გვ. 174.

საკითხავი მეორე – გვ. 180.

საკითხავი მესამე – გვ. 191.

საკითხავი მეოთხე – გვ. 195.

საკითხავი მეხუთე – გვ. 202.

საკითხავი მეექვსე – გვ. 206.

საკითხავი მეშვიდე – გვ. 217.

საკითხავი მერვე – გვ. 221.

საკითხავი მეცხრე – გვ. 228.

საკითხავი მეათე – 231 გვ.

საკითხავი მეთერთმეტე – გვ. 238.

საკითხავი მეთორმეტე – გვ. 241.

საკითხავი მეცამეტე – გვ. 246.

თავი მეხუთე: ბოლოს ზეთის ცხებასა ზედა – გვ. 251.

საკითხავი მხოლოდ ერთი – გვ. 251.

თავი მეექვსე: ხუცად კურთხევასა ზედა – გვ. 255.

საკითხავი მხოლოდ ერთი – გვ. 255.

თავი მეშვიდე: ცოლ-ქმრობასა ზედა – გვ. 260.

საკითხავი პირველი – გვ. 260.

საკითხავი მეორე – გვ. 267.

საკითხავი მესამე – გვ. 273.

თავი მერვე: საკითხავი სავარდსა ზედა – გვ. 289.

საკითხავი ქრისტეს გვირგვინსა ზედა – გვ. 293.

საკითხავი ღთის მშობლის გვირგვინსა ზედა – გვ. 295.

²⁴ უნდა იყოს: თავი მეოთხე.



- საკითხავი სკემასა ზელა – გვ. 297.
- საკითხავი შენდობასა ზელა – გვ. 301.
- საკითხავი ყოვლადწმიდის საკუთარ მადლთა ზელა – გვ. 317.
- ლოცვა მარიამის უმანკო ჩასახვისათვის – გვ. 321.
- ლოცვა მფარველი ანგელოზისა – გვ. 322.
- ლოცვა დილაზედ, შუაღამისა და საღამოს სათქმელი – გვ. 322.
- ლოცვა ყოვლად მხურვალე, დედა ღმერთისა, უმანკო ქალწული მარიამისა მიმართ – გვ. 324.
- ლოცვა ნეტარ ქალწულის მიმართ – გვ. 332.
- ლოცვა მარიამის მიმართ – გვ. 336.
- აღუიარება წმიდის ათანაზისა – გვ. 338.
- ლოცვა წმიდის ბიარების მიღების უწინ და უკან სათქმელი – გვ. 346.
- ლოცვა ყოვლადწმიდის მარიამისა მიმართ ყოველდღე სათქმელი – გვ. 347.
- ლოცვა გონებისა ფრიად მარგებელი – გვ. 350.
- ლოცვა ნათქუამი წმიდა თომა აქვინელისაგან – გვ. 352.
- ლოცვა საყოველთო, ყოველთ რამეთ – გვ. 354.
- ბანდუკი ანბანგანური – გვ. 360.
- გაფორმება:** გრაფიურები
 1. ანგელოზებით გარემოცული ღვთისმშობელი. – ლათინურენოვან თავფურცელზე.
 2. იმავე თავფურცლის მე-2 გვერდზე გრაფიურა – იესო ქრისტე მოძღვრავს მოციქულებს, გარშემოწერილი გეჟსტი: „OMNI CREATVRAE EVENTS IN UNIVERSUM MUNDUM PRAEDICATE EVANGELIUM“.²⁵ გრაფიურა ოთხხხრივ შემკულია მომცრო ორნამენტული დეკორაციებით.
- გრაფიურა ღვთისმშობელი ვარსკვლავების დიადემათ²⁶ – გვ. 12.
- მხატვრულად გაფორმებული საბენაო ასო-ნიშნები²⁷: „რ“ გვ.: 90, 100, 108, 174, 251, 255, 260; „ვ“ – გვ.: 13, 338; „ს“ – გვ. 289; „თ“ – გვ. 327.
- ბოლოსამკები²⁸: 1. ფოთლოვანი გრაფიურა – გვ.: 10, 89, 107, 250, 259, 288, 345, 349; 2. ანგელოზები²⁹ – გვ.: 250, 288; არაბესკები³⁰ – გვ. 35.

²⁵ თარგმანი იხ. შენიშვნა 10
²⁶ იხილეთ ღანართი I, 5.
²⁷ იხილეთ ღანართი I, 6 (1); 6 (2); 6 (3).
²⁸ იხ. ღანართი I, 7 (1); 7 (2).
²⁹ იხ. ღანართი I, 8
³⁰ არაბესკათა ნიმუშები იხ. ღანართი: I, 9 (1); 9 (2); 9 (3); 9 (4); 9 (5); 9 (6).



- 1. K 12 188/209 – საქრისტიანო მოძღვარება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა ზელა ... – რომი. – 1741. – 368³¹ გვ. წიგნს აკლია: 353-354 გვ.**
 - ყდა:** (15,5 x10,5) სმ. მკერივი მუყაო, გვაგვადაკრული, მოოქრული გვიფრით.
 - ყდის ორივე ფრთაზე ერთი და იმავე სახის ყვავილოვან-ორნამენტულ ჩარჩოში ჩასმული არაბესკა.
 - მინაწერი:**
 1. „ყუძღვნი ამ წიენს საქაბიჯულოს საქაბი ბიბლიოთიყას ეოპის კათოლიკეთა ყელესიის მსბიჯ მოძღვაბი დონ ანდრია ეოეოლაძეილი. 1937 წ. აევისცოს 8-ქ. ეოპი“ – კონტრტიგულზე, ლურჯი მეღნიით.
 2. „ეოეოლაძეილი ანდრია, ს [...] 15.“ – უკანა ფორმაზე, ფანქრით. სხვა ხელწერით: „მამაო ჩვენო...“
 - ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1938 წელს.**
- 2. FS 1 048/2 – საქრისტიანო მოძღვარება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა ზელა. – რომი. – 1741. – 368 გვ. წიგნს აკლია ლათინურენოვანი სატიტულო ფურცელი – გვ. 15-16.**
 - ყდა:** (16.5x10) სმ. ხის, გვაგვადაკრული, მარტივი, სწორხაზოვანი გვიფრით.
 - სარესტავრაციოა** ყუბ, მოცილებული კორპუსს.
 - აკინძვა:** ამოვარღნილია გვ. მე-13-14.
 - ღანართი:** მცირე ზომის ფურცელი ფანქრით ნაწერი მინლობილობის გეჟსტით: «означенную в этой повестке указанную посылку на 15 руб. доверяю получить изъ Кизлярской почтовой конторы мещанину И. Е. Зедидзе въ чемъ подписю и приложениемъ истинной печати удостоверяю 1886 г. Май, 12 дня г. Кизляръ... Фабриковъ». მეორე გვ: «Форма для получ. посылки».
 - მინაწერები:**
 1. «Въ даръ на память Александр Армянін. Священника Григорий [Евениновъ] 1841 года октября, 30 д. Ст. Николаевская» – ყდის უკანა ფრთის შიგნით, შავი მეღნიით.
 3. „მნაქ“ – გვ. 39, ფანქრით.
 4. „ქაქაო ჩვენო“ – გვ. 44, ფანქრით.
 - ბეჭედი:** ქმწკგ საზოგადოების მრგვალი, ფორმაცის მე-2 გვ.
 - ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1938 წელს.**
- 3. FS 1 048/1 – საქრისტიანო მოძღვარება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა**

³¹ ნაშრომის სრული გეჟსტის შემოწმების საფუძველზე „პ“-ზე დაწვეული მხოლოდ ერთი გერმინია, რომელიც საბიბეღელში ბოლო სიგყვადაა დაფიქსირებული 368-ე გვერდზე; ამიგომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაში არასრული ეგზემპლარია აღწერილი, სადაც გვერდთა რაოდენობა 366-ია მითითებული.



მელა... – რომი. – 1741. – 366 გვ. წიგნს აკლია 367-368 გვ.,

ყდა: (16.5x10) სმ. მკერივი, მუყაოზე გადაკრული ყავისფერი ტყავით. მოგვიფრული, ოქროსფრად მოვარაყებული. ყდის წინა და უკანა ფრთაზე ერთი სახის არაბესკა: წინა ყდის არაბესკის ცენტრში ძელზე გაკრული მაცხოვრის ტვიფრია, უკანა ყდის არაბესკაში კი ჩასმულია ღვთისმშობლის გამოსახულება.

აკინძვა: ამოვარდნილია 51-62 გვ.

ჩანართი გრაფიურები მოგვიანებით გამოცემული წიგნებიდან:

1. ჯვარზე გაკრული მაცხოვარი, მუხლმოყრილი [მარია მაგდალინელი], პოლიგრაფიული შრიფტით დაბეჭდილი სათაურით: „AMOR MEUS CRUCIFIXUS EST“ (ჩემი სიყვარული ჯვარცმულია), მითითებულია გრაფიორის გვარი: „Ge. Borovsky“ – 46-47 გვერდებს შორის, გრაფიურა გაფერადებულია.
2. ერთი და იგივე გრაფიურა სომხურ-ბერძნული ბეჭდური სათაურით. ორივეს მიწერილი აქვს: „წმიდა ღაღაპუს“ – 250-251 და 300-301 გვერდებს შორის.
3. „ჯვარცმა“ სომხური ბეჭდური სათაურით. [ჯვარზე გაკრულ ქრისტესთან: ღვთისმშობელი, მარია მაგდალინელი და სუსანა მენელსაცხე]³² – 292-293 გვერდებს შორის. გრაფიურა გაფერადებული არ არის.
4. „შობა წმინდა ღვთის მშობლისა“, სომხური ბეჭდური სათაურით, ქვემოთ იგივეა ქართულად მიწერილი მელნით – 320-321 გვერდებს შორის. გრაფიურა გაფერადებულია.
5. „ელისაბედის სტუმრობა ქალწულ მარიამთან“ – სომხური ბეჭდური სათაურით – 336-337 გვერდებს შორის. გრაფიურა გაფერადებულია.

ბეჭდები: 1. „ქმწკგ საზოგადოების“ მრგვალი – [3] გვერდზე; 2. ტვიფრული თეგი წარწერით: „Садзгелов Георгій Серапимович“ – მე-7 გვ.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1938 წელს.

4. K 13 252/209 – საქრისტიანო მოძღუარება გინა წურთნა შვილთა საიდუმლოთა მელა ... – რომი. – 1741. – 366 გვ. წიგნს აკლია 367-368 გვერდები. თავფურცელი დალაქავებული სანთლის ნაღვენით.


ყდა: (16x10.5) სმ. მკერივი მუყაოსი. ტყავის ყუაზე ამოგვიფრული სათაური: „DOCTRINA CRISTIANA“, მოოქრული.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1939 წლის ნოემბერს.

5. K 9 163/209 – საქრისტიანო მოძღუარება გინა წურთნა შვილთა საიდუმლოთა მელა ... – რომი. – 1741. – 366 გვ. წიგნს აკლია 367-368 გვერდები.

ყდა: (16x10.5) სმ. მკერივი მუყაოსი, ნაცრისფერი კოლენკორით.

³² საგრაფიურო წარწერა სომხურიდან თარგმნა ანა ღარბინიანმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.




მინაწერები:

1. „პ. ეყეყჭილი 1928, #11“ – გვ. 100. იგივე ხელმოწერაა უკანა ფორმაცზე, ფანქრით.
2. „საქრისტიანო მოძღუარება, გინა წურთნა შვილთა საიდუმლოთა ზელა. ეადმოთაბეძანტყლი იცალიანის რნისეან ეორელი ცლყყაანთ ღაფითასეან, პიპი, 1941“ – წიგნის სრული სათაურია.

ბეჭედი: „საქართველოს რეგკომის ბიბლიოთეკა“ – თავფურცელზე, მე-13 და 366-ე გვერდზე.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1935 წელს.





საქრისტიანო მოძღუარება. რომი. 1741.

საქრისტიანო მოძღუარება³³ – რომი: კათოლიკური სარწმუნოების გამაფრცვლელი საზოგადოების სტამბა. – 1741.

[1], 92, [1] გვ.
 შრიფტი: მხედრული, სიმაღლე 10 სტრ=6,5 სმ., გვერდზე 17 სტრიქონი, იგივეა რაც ვრცელი ვარიანტის. გეჲსტის ანაჲყობი: (12X7,5) სმ.
 პაგინაცია: რიცხობრივი, არაბული ციფრებით.
 ბეჲღვა: ერთ ფერში.
 გირაჲი და ფასი: მითითებული არ არის.

თავფურცელი – „საქრისტიანო მოძღუარება, მოკლედ დანიგებული მარტვილთათჳს ზეჲირად დასასწავლებლათ, დანიგებულ წმიდა ჰრომის ქალაქს სასწავლო-სა მონასტრის რეჲსტრის ფრანგულად ჰქვიან: „ფროფაგანდა ფილე მთავრობასა ბენედიქტე მეთოთხმეტე³⁴ ჰრომის პაპისასა. ქრონიკონი ქრისტესი 1741. ესე იგი არს: ჩ.დ.მ.ა. ბრძანებითა უფროსთა“³⁵.

- გეჲსტი:**³⁶
- ლოცვა საქრისტიანო მოძღუარების სწავლების პირველ სათქმელი – გვ. [2].
 - მოკლე საქრისტიანო მოძღუარება ზეჲირად დასასწავლებელი – გვ. 1.
 - თარგმანობა მწამსისა – გვ. 6.
 - თარგმანობა მამათ ჩუენოსი და გიხაროლენისა – გვ. 22.
 - თარგმანობა ღვთის ბრძნებათა – გვ. 36.
 - თარგმანობა ეკლესიის ბრძანებათა და სასახარებო წურთნათა – გვ. 47.
 - თარგმანობა ეკლესიის საილუმლოთა – გვ. 50.
 - თარგმანობა საღვთისმეტყველო და საუფროსო ძალთა – გვ. 57.
 - თარგმანობა სულიწმიდის საბოძვართა – გვ. 62.
 - თარგმანობა ცოღვათა – გვ. 67.
 - ოთხთა საბოლოს საფიქრალთა ზედა და სავარდოთა ზედა – გვ. 74.

¹ მოცემული გამოცემა აღწერილია ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია, გ. I. №32; მოხმობილია მ. ჭიჭინაძის ვარაუდი, რომ წიგნის ავტორია გლეჲკანთ ღვთისმეტყველი. ჩვენი ვარაუდით, ივანე ჯიგანანთის დამსახურებით, ვრცელი ვარიანტის გამოსაცემად მომზადების პარალელურად, უნდა შემღგარიყო მოკლე ვარიანტი „ზეჲირად დასასწავლებლად“, ამ ღროს გლეჲკანთ ღვთისმეტყველი აღარ არის. იგი 1734 წელს გარდაიცვალა.
³⁴ ბენედიქტე მეთოთხმეტე, რომის პაპი – 1740-1758 წწ.
³⁵ ვრცელ „საქრისტიანო მოძღუარებას“ ლათინურ-ქართული საგიტულო ფურცელი აქვს. მოკლე ვარიანტს მხოლოდ ქართული თავფურცელი ახლავს; იმის გამო, რომ ამ გამოცემის ეგზემპლარი ერთადერთია საქართველოში, შეღარების შესაძლებლობა არ გავგაზიანია და ვერ ვამტკიცებთ, ჰქონდა თუ არა მას ლათინურენოვანი შესაგვეისიც.
³⁶ გეჲსტში მრავლადაა ორთოგრაფიული შეცლომა.



- ლოცვა საქრისტიანო მოძღვარების სწავლების უკან სათქმელი – გვ. 79.
- ლოცვა მფარველი ანგელოზისა – გვ. 79.
- საუმარნი ღუაწლის საქმენი... – გვ. 81.
- საქმე სასოებისა, გინა იმედისა – გვ. 83.
- საქმე სიყუარულისა – გვ. 84.
- საქმე სინანულისა – გვ. 85.
- ლოცვა მარიამისა მიმართ – გვ. 86.
- ლოცვა განლობის უწინ და უკან სათქმელი – გვ. 89.
- ლოცვა წმიდის მთარების მიღების უწინ და უკან სათქმელი – გვ. 91.


გაფორმება: „თარგმანობებს“ შორის ერთსახოვანი მარტივი ორნამენტული გამყოფებია.³⁷ ტექსტის ბოლოს – სხვადასხვა სახის გრაფიკური: ღარნაკები ყვავილებით და ანგელოზები. ამ გრაფიკურებს შორის წრეში ჩასმულია კათოლიკური სარწმუნოების გამაფრცხვლებელი საზოგადოების ემბლემა: ცენტრში – ქრისტე მოძღვრავს მოციქულებს. გარშემოწერილობა: „OMNI CREATVRAE EVENTS IN UNIVERSUM MUNDUM PRAEDICATE EVANGELIUM“.³⁸

1. FS 1 048/3 საქრისტიანო მოძღვარება. – რომი. – 1741. – [1], 92, [1] გვ.

ყდა: (16X10) სმ. მკვრივი, შინდისფერი კოლენკორით.³⁹ ყუა: შავი, ყუაზე გვიფრული წარწერა – „საქრისტიანო მოძღვარება“.

მინაწერი:

- 1. „ეაღაჟეცი ნჳოა-ჩითხჳის საშოეალოჳბის ჰიბლიოთჳიკას 1888 წ. აპრენ ჩალანდაძე“ – ბოლო აღურიცხავი ფურცლის უკანა გვერდზე.
- ბეჭედი:** „ქმწკგ საზოგადოების წიგნთ-საცავი“ – ფორმაცზე.
- ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია** 1939 წელს.



საქრისტიანო მოძღვარება. რომი. 1741.

³⁷ გამყოფთა ნიმუშები იხ. ღანართი I, 10 (1); 10 (2); 10 (3); 10 (4).
³⁸ თარგმანი იხ. შენიშვნა №10.
³⁹ ამ სახის ყლები ქმწკგ საზოგადოების მრავალ წიგნს აქვს, სავარაუდოა მოცემული ეგზემპლარიც აღნიშნული საზოგადოების საამკინძაოშია დაცვავებული.



საქრისტიანო მოძღვარება.
რომი. 1797. თავფურცელი.

საქრისტიანო მოძღვარება გინა წურთნა შვილთა საილუმლოთა ზედა... – რომი: კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების სტამბა. – MDCCXCVII [1797].

418 გვ.

შრიფტი: ლათინური, მხედრული ქართული. მხედრული შრიფტის სიმაღლე: 10 სგრ – 6,5 სმ. გვერდზე 20-21 სტრიქონი.

გეჟსტის ანაწილი: (13,5X8,5) სმ. ლათინური შრიფტის სიმაღლე: 10 სგრ.=4,5 სმ. გვერდზე 34 სტრიქონი

პაგინაცია: რიცხობრივი, საერთოა გეჟსტისა და საძიებლისათვის. დაუნომრავია 1-5 გვ.

ბეჭდვა: ერთ ფერში.

ტიპოგრაფი და ფასი: მითითებული არ არის.

თავფურცელი – „Dottrina Cristiana Per uso delle Missioni della Giorgia. Dedicata All'Immacolata Concezzione della Madre di Dio Maria Sempre Vergine. Tradotta Dalla Lingua Italiana in Lingua Civile Giorgiana da David Tlukaanti Giorgiano Alunno dell'Venerabil Collegio Urbano de Propaganda Fide Per il commune, e spirituale prositto dei Cattolici della medesima Nazione, Seconda Edizione. – Roma, – MDCCXCVII [1797]. Nella Stamperia della Sagra Congregazione de Propaganda Fide. Con licenza de' Superiori“.

„**IMPRIMATUR**, Si videbitur Rmo Patri Mag. Sac. Pal. Apost. F. Xav. Passari Archiep. Lariss. Vicesg“ – გვ. [3].

„**APPROBATIO**⁴⁰ – E Go Fr. Claudius a Regio Ord. Cappuccin. S.P. Francisci Concionator, nec non Protonotarius Apostolicus, post undecim annos Missionum in Regno Persarum, praecipue in Iberia Orientali seu Georgia, Armenae & Georgicae linguarum Professor; cum ibidem non sine magno mei oblectamento, ac emolumento Animarum curae meae demandatarum frequenter prae manibus habuerim librum, cui titulus est: Dottrina Cristiana per uso delle Missioni della Giorgia: per admodum Reverendum D. David Tlukaanti a Goride Georgianum jam Alumnum in hoc Ven. Collegio Urb. de Propaganda Fide compositum, & ab eodem peregre lingua Georgica expressum, ex tunc summo optaveram typis mandatum ad non modicam tum Missionatorum, tum illarum Nationum utilitatem, cum tam illi, quam istae prorsus destituantur hujuscemodi libris idiomate Georgico exaratis. Cum autem hic Romae eundem librum viderim apud Rev D. Joannem Gigananti Tiplisensem Georgianum hujusce Sac. Cong. De Propag. Fide Alumnum; Opti

⁴⁰ პირველი „Approbatio“-ს გეჟსტი იგივეა, რაც 1741 წლის ვრცელ გამოცემაში. თარგმანი იხ. შენიშვნა 2.



mum duxi eidem consulere ejusdem libri impressionem, illucque transmissionem eo majori, quo posset numero, ut totisdem esset beneficio; cum fatear in dicto libro non solum procul esse quid minimum Sacris Dogmatibus & Catholicis moribus non consonum sed abundare potius, quocumque mirum in modum conducere potest ad Fidem Catholicam ac Christianam pietatem. Ideoque si ita Rmo D. Sac. Palatii Magistro, & aliis quibus spectat, videbitur, non tantum necessum puto, sed & obnixè precor, ut mandent, & curent dictum librum typis mandari, magnam remunerationem ab Illo obtenturi qui dixit: Euntes in mundum universum praedicate Evangelium omni Creaturae.

In quarum fidem praesentem paginam meae testationis, & obtestationis propria manu firmatam, ac sigillo, quo utor, munitam do. Romae in Conventu Capuccinorum 22. Aprilis anno Domini 1740. Fr. Claudius a Regio Capuccinus qui supra.“ – 3-4 გვ.

APPROBATIO⁴¹ – „E go infrascriptus Ven. Collegii Urb. de Propaganda Fide Alumnus, fidem facio ac testor, me summa animi voluptate perlegisse librum, cui titulus: Dottrina Cristiana per uso delle Missioni della Giorgia: desumptum compositum & egregie traductum ter admodum. Rev. D. David Tlukaanti a Goride Georgianum ejusdem Ven. Collegii Alumnus: & sateor procul ab eo esse vel quid minimum Catholicae Fidei, bonisve moribus non consonum. Qua de re non censura, sed propter extremam illarum Gentium spiritualem indigentiam, quae hujuscemodi libris suo idiomate expressis prorsus sunt destitutae, in lucem exire quam justissimum, arbitror. Romae ex eodem Coll. die 19. Martii A. D. 1741. Joannes Gigananti a Tiflis Georgianus...“ – გვ. [4].

„IMPRIMATUR Fr. Thom. Vincentius Pani Sac. Pal. Apost. Mag.“ – გვ. [4].

თავფურცელი – „საქრისტიანო მოძღვარება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა ზედა, გარდმოთარგმანებული იგალიანის ენისაგან ქართველს მხედრულს ენასა ზედა საქართველოს გორელი გლეჯკაანთ სომეხი დავითისაგან. მთავრობასა კლემენტომ მეთორმეტე პრიმის პაპისასა. სასწავლოსა შინა უცხოთასა, რომელსა ეწოდების ფრაფაგანდა ფილე. სადილებლად ლედა ღთისა მარიამ ქალწულის უმანკო ჩასახვისა და სასარგებლოდ სულთა სულიერთა ძმათა და ღათა ქორონიკონს ქრისტესი ჩლღ [1733] და მეორედ დაიბეჭდა ქორონიკონს ჩლკმ [1797] ბრძანებითა უფროსთა“ – გვ. [5].

[გლეჯკაანთ დავითა] შეწირვა უმანკო ქალწული ლედა ღვთისა მარიამისა მიმართ – „ჰეი ლედაო, ღთისაო მარიამ ქალწულო, რომელი უმანკოდ დარჩი აღამის ცოლვისაგან, რომლისა თანამდებნი შეიქმნენ ყოველნი ძენი მისანი; გარნა შენა პირველ გამოგარჩია მამამა ღმერთმა თავის ასულად; ძემა ღვთისამან პირველ გამოგარჩია თავის ღვლად; სულმა წმიდამა ღმერთმა პირველ გამოარჩა თავის სძლად; წმიდა სამებამა და ერთმა ღმერთმა შეიძლო შენი უაღამის ცოლვოდ ჩასახება; ინლომა შენი უაღამის ცოლვოდ ჩასახება; გეკადრებოდა შენ უაღამის ცოლვოდ ჩასახება, რამეთუ ღმერთმა თავის ასულად, ლედად, და სძლად უწინარეს განგსამღერა; მაშ აბა ღმერთმა

⁴¹ გუქსგი მცირე სარედაქციო და ორთოგრაფიული ცვლილებებით იგივეა, რაც 1741 წლის გამოცემისა: იხ. შენიშვნა 16.



ქნა, რომე შენ უაღამის ცოლვოდ ჩასახებულ და შობილ იყავ.

აწე ამ ყოვლად ღიდი აზგობისა შენისათვის გევედრები, რომე ჩემს სულიერს ძმებსა და ღებსა კათოლიკებსა მისცე გონება, ნათელი, ცნება, გულისყური, და ნება ამ საქრისტიანო მოძღვარების ზეპირად დასასწავლებლად, რათა შენის მეოხებით იცნან ჭეშმარიტება: განშორდენ ყოელთა ცოლვოტგან, იზრახევენ, იგყოდენ და იქმოდენ კეთილსა, შენ გემსახურებდენ გულისა და სულის უმანკოებითა; და შემდგომად მიეწიონ საუკუნოს სასუფეველსა, რათა მუნ ჰგებდენ უკუნითი უკუნისამდე. ამენ. თქვენი ყოვლად მღაბალი, მარადის მონა, უღირსი მღვდელი გლეჯკაანთ დავით“ – გვ. 6-7.

[გლეჯკაანთ დავითა] წურთნა წამკითხავთათვის – „სულიერთ ძმათა და ღათა სულთა სიყვარულისათვის, გაღმოვითარგმანე იგალიანის ენისაგან, ესე მოკლედ დარიგებული საქრისტიანო მოძღვარება ქართველს მხედრულს ენასა ზედა;

აწე ძმანო, და ღანო სულიერნო, ღიდის ცლითა, და სიყვარულითა ეცადენით, რომე ზეპირად ისწავლოთ; ამისათვის, რამეთუ ვითარცა ყოველი ხელოსანი თავის ხელოსნობას უპასუხებს, და იქს: ასრევე ქრისტიანი თავის ქრისტიანობას უნდა უპასუხებდეს, და იქმოდეს; ხოლო უკეთუ ხელოსანმა თავის ხელობა არ ამუშაოს, მისთვის ღიდი სირცხვილი იქნება; ასევე თუ ქრისტიანმა თავის ქრისტიანობა საქმით არ ამუშაოს, არა თუ თათრისაგან უარესი იქნება სააქოსა; მაგრამ უეჭველად საიქიოსაც წარწყმდება.

აჰა, ქრისტიანის ვალი ეს არის, რომე ეს ზეპირათ ისწავლოთ და ამით კეთილმოქმედებაში ინაყოფიეროთ. აწე ესრედ უწყოლეთ, რომე ეს საქრისტიანო მოძღვარება ფრიად მსოფლიერს ენასა ზედა აღვწერე; ამისთვის, რამეთუ ენა ქართველის ხუცური თავად არ ვიცოდი და თუ რამე ცოცხა ვიცოდი, ისიცა, და მხედრული ენაც დამავიწყდა, ჭეშმარიტად აგერ თითქმის ათი წელიწადი არის, რომე ქართველის ენისა და წიგნის მონაგრე შევიქენ, ხოლო მისთვის ურიცხუთა ადგილთა, სიგყუანი უშუნიერნი ჩაურთვე და ხარის წილად ხანი და სხუაცა ამისაებრ მრავალნი ლუარძილნი; არამედ ოლომც უმეცარნი და უმცირესნი თუინიერ ვახშისა არა მიიქცენ უკანა, ხოლო მეცნიერთა ამხილონ მე ჩემდა ჩემის ნაკლებობისათვის, თქვენგან სიმღაბლით შენლობას ვთხოულობ“ – გვ. 8-10.

შინაარსი:

Imprimatur – გვ. [3].

Approbatio – გვ. [3].

Approbatio – გვ. [4].

Imprimatur – გვ. [4].

საქრისტიანო მოძღვარება – გვ. [5].

[გლეჯკაანთ დავითი] შეწირვა ქალწული ღვთისა ღთისა მარიამისა მიმართ – გვ. 6.

[გლეჯკაანთ დავითი] წურთნა წამკითხავთათვის – გვ. 8.

ლოცვა საქრისტიანო მოძღვრების სწავლების პირველ სათქმელი – გვ. 11.



ლოცვა საქრისტიანო მოძღვრების სწავლების უკან სათქმელი – გვ. 12.
 ვრცელი საქრისტიანო მოძღვრება ...⁴² საკითხავი 1-16 – გვ. 13.
 თავი პირველი: წურთნა ნათლის ღებასა ზელა – გვ. 91.
 საკითხავი პირველი – გვ. 91.
 საკითხავი მეორე – გვ. 95.
 თავი მეორე: წურთნა მირონის ცხების ზელა – გვ. 102.
 საკითხავი მარტო ერთი – გვ. 102.
 თავი მესამე: წმიდა ზიარებასა ზელა – გვ. 111.
 საკითხავი პირველი – გვ. 111.
 საკითხავი მეორე – გვ. 117.
 საკითხავი მესამე – გვ. 125.
 საკითხავი მეორე⁴³ – გვ. 135.
 საკითხავი მეხუთე – გვ. 144.
 საკითხავი მეექვსე – გვ. 153.
 საკითხავი მეშვიდე – გვ. 158.
 საკითხავი მერვე – გვ. 160.
 საკითხავი მეცხრე – გვ. 165.
 თავი მესამე⁴⁴ განღობასა ზელა – გვ. 178.
 საკითხავი პირველი – გვ. 178.
 საკითხავი მეორე – გვ. 184.
 საკითხავი მესამე – გვ. 195.
 საკითხავი მეოთხე – გვ. 199.
 საკითხავი მეხუთე – გვ. 206.
 საკითხავი მეექვსე – გვ. 210.
 საკითხავი მეშვიდე – გვ. 221.
 საკითხავი მერვე – გვ. 225.
 საკითხავი მეცხრე – გვ. 233.
 საკითხავი მეათე – გვ. 236.
 საკითხავი მეთერთმეტე – გვ. 243.
 საკითხავი მეთორმეტე – გვ. 247.
 საკითხავი მეცამეტე – გვ. 252.
 თავი მეხუთე: ბოლოს ზეთის ცხებასა ზელა საკითხავი მხოლოდ ერთი – გვ. 257.

⁴² გექსცი მღვდლისა და კაცის კითხვა-პასუხის სკილშია აგებული.

⁴³ უნდა იყოს – საკითხავი მეოთხე. 1741 წლის ვრცელ გამოცემაშიც იდენტური შეცლომაა.

⁴⁴ უნდა იყოს – თავი მეოთხე. 1741 წლის ვრცელ გამოცემაშიც იდენტური შეცლომაა.



თავი მეექვსე: ხუცად კურთხევასა ზელა – გვ. 261.
 საკითხავი მხოლოდ ერთი – გვ. 261.
 თავი მეშვიდე: გვირგვინის კურთხევასა ზელა⁴⁵ – გვ. 266.
 საკითხავი პირველი – გვ. 266.
 საკითხავი მეორე – გვ. 273.
 საკითხავი მეთერთმეტე⁴⁶ – გვ. 279.
 თავი მერვე: საკითხავი საფარღესა ზელა – გვ. 295.
 საკითხავი ქრისტეს გვირგვინსა ზელა – გვ. 299.
 საკითხავი ღთის მშობლის გვირგვინსა ზელა – გვ. 301.
 საკითხავი სკემსა ზელა⁴⁷ – გვ. 303.
 თავი მეცხრე: შენღობასა ზელა – გვ. 307.
 საკითხავი პირველი ცოდვის ჰაგიუთა ზელა – გვ. 307.
 საკითხავი მეორე, შენღობასა ზელა ცოდვის ჰაგიუთა – გვ. 312.
 საკითხავი მესამე, შენღობის მიმცემსა ზელა – გვ. 319.
 საკითხავი მეოთხე, შენღობის საუნჯესა ზელა – გვ. 324.
 საკითხავი მეხუთე, თუ რა რიგად მიეცემის და მოიგების შენღობა – გვ. 326.
 შენღობანი წმიდა პაპთაგან მოცემული – გვ. 328.
 საქმე სარწმუნოებისა – გვ. 330.
 საქმე იმედისი – გვ. 331.
 საქმე სიყუარულისა – გვ. 332.
 საქმე სინანულისა – გვ. 333.
 ძნელი სხვათა შენღობათა – გვ. 333.
 შეძლება კურთხევისა და სრულის შენღობის მიცემისა მორწმუნეთა, სამოციქულო გინა საქადაკო ადგილთა შორის, უამსა სიკუდილსა მიწვევულთა – გვ. 346.
 წესი, წმიდად სახსენებელი მეთათობმეგე ბენედიქტეს პაპისაგან დამტკიცებული – გვ. 350.
 თავი მეათე: საკითხავი ყოვლად წმიდის საკუთარ მადლთა ზელა – გვ. 358.
 ფერად-ფერადნი ნაყოფიერნი ლოცვანი – გვ. 362.
 ლოცვა მარიამის უმანკო ჩასახვისათვის – გვ. 362.
 ლოცვა მფარველი ანგელოზის მიმართ – გვ. 363.
 თავი მეათე: ლოცვა ღილაზედ შუადღისას და საღამოს სათქმელი – გვ. 363.
 ლოცვა ყოვლად მხურვალე ღელისა ღვთისა უმანკო ქალწული მარიამის მიმართ – გვ. 365.
 ლოცვა გონებისა, ფრიად მარგებელი – გვ. 389.

⁴⁵ 1741 წლის გამოცემაში – ცოლ-ქმრობასა ზელა.

⁴⁶ უნდა იყოს საკითხავი მესამე.

⁴⁷ აქ გამოტოვებულია პირველი გამოცემიდან გექსცი: საკითხავი ყოვლაწმიდის საკუთარ მადლთა ზელა.



ვალვიარება წმიდისა ათანასისა ალექსანდრიელის პატიარქისა – გვ. 379.
 ლოცვა წმიდის ბიარების მიღების უწინ და უკან სათქმელი – გვ. 387.
 ლოცვა ნათქვამი წმიდისა თომას აქვინელისაგან – გვ. 391.
 ლოცვა საყოვლიერო – გვ. 393.
 საძიებელი ანბანური – გვ. 399.
 [გრიგოლ ბაღინანთი] კეთილად აღმომკითხველო – გვ. 406-407⁴⁸.
 [შეცლომების შესწორება] – გვ. 408.

გაფორმება:

1. ლათინურენოვან საგიგულო გვერდზე საგამომცემლო ნიშანი – გრაფიურა: ქრისტე მოძღვრავს მოციქულებს. მრგვალი გარშემოწერილი გეჟსტი: „OMNI CREAT- VRAE EVENTS IN UNIVERSUM MUNDUM PRAEDICATE EVANGELIUM“.⁴⁹ გრაფიურა თხზმხრივ შემკულია მომცრო ორნამენტული ღებალებით.
2. ღეთისმშობელი ვარსკვლავების ღიაღემით გრაფიურა – გვ. 12.
3. მხატვრულად გაფორმებული საბუნაო ასო-ნიშნები: „რ“ – გვ.: 91, 102, 111, 174, 257, 260, 261, 266, 307; „ე“ – გვ.: 13, 379; „ს“ – გვ. 289; „თ“ – გვ. 368; „წ“ – გვ. 328.
4. ბოლოსამკები – გვ.: 10. 90 .110.

1. FS 2 738 – საქრისტიანო მოძღვარება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა ზელა... – რომი. 1797 – 416 გვ. წიგნს აკლია ბოლო 417-418 გვ.

ყდა: (1x11.5) სმ. მკერივი მუყაოსი, ცყავგადაკრული. ფოთლოვანი ორნამენტული გვიფრით, ოქროსფრად შეფერადებული, ყუაზე არაბესკა.

მინაწერი:

1. „ეს ნიენი რყუთინს №5“ – კონტრტიტულის მეორე გვერდზე შავი, გამოსუნებული მელნით.
2. „ეს ნიენი რყუთინს კატაბინა ქაბაძისა“ – უკანა ფორმაცზე, ფანქრით.
3. ქმწკკ საზოგადოების საკლასიფიკაციო ნიშანი წითელი მელნით – „ბ.12⁰2“, შავი მელნით – „2776“.

ბეჭედი: ქმწკკ საზოგადოების – გიტულსა და კონტრტიტულზე. ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1938 წელს.

2. K 39 984/209 – საქრისტიანო მოძღვარება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა ზელა... – რომი. – 1797. – 416 გვ. აკლია ბოლო 417-418 გვ.

ყდა: (18X11.5) სმ. უბრალო მუყაოსი, ქალაღდაკრული. ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1972 წელს.

⁴⁸ გრიგოლ ბაღინანთის მიმართვა „კეთილად აღმომკითხველთათვის“ ღათარიღებულია 1800 წლის 20 ოქტომბრით.
⁴⁹ თარგმანი იხ. შენიშვნა 10.



3. FS 4 301 – საქრისტიანო მოძღვარება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა ზელა... – რომი. – 1797 – 416 გვ. წიგნს აკლია ბოლო 417-418 გვ.

ყდა: (17x12) სმ. მუყაოზე გადაკრული ლურჯი, მღარე ხარისხის კოლენკორის. სარესტავრაციო: გვ. 413 გახეულია. 141-ე გვერდიდან ბოლომდე ფურცელთა ჩამონატერი ღაძენდილია.
 აკინძვა: ამოვარღნილია გვ.: 247-250, 263-266.
 ბეჭედი: თავფურცელზე, ოვალური, გაურკვეველი წარწერით.
 ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1938 წელს.

4. K 9 153/209 – საქრისტიანო მოძღვარება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა ზელა... – რომი. – 1797 – 410 გვ. წიგნს აკლია 385-388, 393-394, 397-406 გვ. და ბოლო, 411-418 გვ.

ყდა: (17x11.5) სმ. მკერივი, უბრალო მუყაოსი, ქალაღდაკრული. ღამიანებულია: 179-190, 195, 219, 221-224, 227,239, 243-246, 383-393, 395-396 გვ; უხეშაღა რესტავრირებული: 211-214, 226-227 გვ.

მინაწერები:

1. „I ეპისტოქა 1733 წ.“ – პაატა გუგუშვილის ხელით. რომაული ასოებით აღნიშნულ თარიღს – „1733“-ს ზემოღან გადაწერილი აქვს: „1797“.
2. „საქრისტიანო მოძღვარება შვილთა საიღუმლოთა ზელა... თარგმანი იტალიური. მოძღვრული – ღაფით ცლყყანთი. ღაიჭყლა რომს 1733 (პიჭყლად). რომი. – 1797“ – ფორმაციის წინა მხარეს. იმავე ხელწერითა და ქელნით გადაშლილია, „1733“, ზემოღან აწერია „1741“; ხოლო „1797“-ის გვერღით ფანქრით მიწერილია 1800.

ფაქსიმილე: „პ. გუგუშვილი 1928. 7/1“, „ნ. ღვაღი 26/X/1943 წ. 8/IV /1945 წ.“ – უკანა ფორმაცზე, ფანქრით.

ბეჭედი: „საქართველოს რეეკომი“ – თავფურცელზე; ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1935 წელს.

5. FS 5 785 – საქრისტიანო მოძღვარება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა ზელა... – რომი. – 1797 – 414 გვ. არასრული ეგემპლარი, წიგნს აკლია: 33, 153, 173, 175, 183, 185, 235-343, 369-372, 415-418 გვ.

ყდა: (17,5x11,5) სმ. მუყაოსი, ქალაღდაკრული, გაცრეცილი. ფურცლებს შორის ჩარჩენილია ლურჯი ფერის ნაჭრის სანიშნე. წიგნი ჩაღებულია ორგვერდიან მკერივ საქალაღღეში. გახეულ ყუაზე შემორჩენილია წარწერა: „Doctrina catol...“.

სარესტავრაციო: ყდა, მოცილებული წიგნის კორპუსს.

მინაწერები:

1. „ბ. 12⁰5785“ – ფორმაცზე შავი მელნით;



2. ქართული ანბანი, რამდენიმე სახის – უკანა ყდის შიდა მხარეს;
ბეჭედი: 1. „ქმწკგ საზოგადოების“, მრგვალი, – თავფურცელსა და 414-ე გვერდზე. 2. თეგი წარწერით: „6 Jan. 1915“ – წინა ფორმაცზე და სატიგულო გვერდზე.
ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1972 წელს.

6. FS 3 788/2 09⁵⁰ – საქრისტიანო მოძღვარება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა ზელა ... – რომი. – 1797 – 400 გვ. ეგზემპლარს აკლია დასაწყისი 1-14 და ბოლოში – 401-418 გვ.

ყდა: (16x11) სმ. მკვრივი, მუყაოსი, ქაღალდგადაკრული. ყუბა გყავის.

ჩანართი: დასაწყისში 8 და ბოლოში 22 ფურცელი – გათვალისწინებული გეჟსტის აღსადგენად.

ხელნაწერები:

1. „საქრისტიანო მოძღვარება ეინა წყობნა შვილთა საიღუმლოთა ზელა ედმოთარეპანტული ივალთანის რნისეან ქაბოთულს მხედრულს რნასა ზელა საქაბოჯლოს ეოროლი ცლუყანთ დაჯითისეან ძთაჯობისა ცლუქრცოზ ძეთობქეცე ჰობის ჰანისასა, სსნაჯლოსა ძინა ყცხითასა რობელსა რნოლქის ჰობაეანდა ფილე სალიდქლად დელა ლთისა ქალხულის ყძანყო ჩასახვისთვის ძმათა და დათა სულიერთათვის⁵¹, ქობონიკონი ქრისტესი ჩლლე 1733“ – დასაწყისში ჩართულ მე-6 ფურცელზე აღდგენილია თავფურცლის გეჟსტი.⁵²
2. დასაწყისში ჩართულ მე-8 ფურცელზე აღდგენილია გამოცემის მე-13 და მე-14 გვერდების გეჟსტი.
3. 46-ე გვერდის შემდეგ ჩართულ ფურცელზე აღდგენილია გამოცემის 47-ე და 48-ე გვერდები.

მინაწერები:

1. „ყვალო აბა ვაბ ლიბი რათა სავანესა ჩქმსა შქობხვილე აბაქელ სიტყვისაქმბი შქნისა ეანიყობნოს სული ჩქმი“ – ფორმაცის შემდგომ ჩაკრულ ცისფერ ქაღალდზე.
2. „სანატრილო და ეამჩენო ლქობით ჩქმი, ძაბეჭქლო სულისა და სობისისო, საყნე ქქძმაბიტქბისო. 16/VIII-42“ – მე-400 გვერდის შემდგომ ჩართულ ფურცელზე.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1938 წელს.

7. FS 4 598 – საქრისტიანო მოძღვარება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა ზელა ... – რომი – 1797 – 412 გვ. არასრული ეგზემპლარი: იწყება მე-9 გვერდიდან, აკლია 145-146,

⁵⁰ ღვეთ ჩუბინაშვილის პირადი კოლექციიდან.
⁵¹ გამოგონებულია გეჟსტი: „და სასარგებლოდ“.
⁵² ხელნაწერის ავტორისაგან იგნორირებულია გრიგოლ ბაღინანთის მიერ გლეკანთ ღვეთის სომხად მოხსენების ფაქტი, რომელიც დაფიქსირებულია ბეჭდვით გამოცემაში.



399-400, 409-410, 413-418 გვერდები, მათ ნაცვლად ჩაკინძულია ცარიელი ფურცლები.

ყდა: (16x11) სმ. მკვრივი მუყაოსი, ქაღალდგადაკრული. ყუბა: გყავის, გაღახეხილი, მოცილებულია კორპუსს.

სარესტავრაციო: ყდა და 263-ე გვერდი. უხერშადაა რესტავრირებული მე-9, მე-11, მე-13, 149-162, 177-178, 402-412 გვერდები;

მინაწერები:

1. „რობქი 1624⁵³, „თფილისი 1409⁵⁴“ – უკანა ფორმაცზე, შავი მეღნით.
2. გეჟსტში ნასწორებია სხვადასხვა სახის შეცლომა. მაგალითად: გვ. 21 – „ლაძმულნი“ – „ლაძმულსულნი“; გვ. 28 – „აბოთნი“ – „აბლენი“; გვ. 29 – „რობქ“ – მიწერილი აქვს – „რობქნი“; „აბოთნი“ – „აბლენი“; გვ. 36 – „ყოჯლი ივი“ – ჩასწორებულია – „ყოჯლოთა აბათ“; გვ. 37 – „ლაჯოქბათეან“ – „ლაჯოქბათეან“; გვ. 39 – „ჯისი“ – ჩასწორებულია – „ძისი“; გვ. 40 – „ცხოჯობა“ – ჩასწორებულია – „სიცოცხლე“; გვ. 45 – ჩამაგებულია გამორჩენილი სიტყვა – „აბაქელ“; გვ. 52 – ჩამაგებულია გამორჩენილი სიტყვა – „საბნძმუნობა“; გვ. 59 – „ლაყზარულად“ – „ლაყზარულად“; გვ. 76 – „უკან“ – ჩასწორებულია – „შქლქე“; გვ. 105 – „რისტობ ჩასცაძმადს“ – „რისტობის აღტყლადს“; გვ. 108 – „ძიბონის ცხების ყან“ – „ძიბონის ცხების შქლქე“; გვ. 110 – გეჟსტის ბოლოს მოთავსებულ გრავიურას მიწერილი აქვს: „რას ძიასნაჯქბს ეს სუბათი?“; გვ. 119 – „ჩიბქ“ – შესწორებულია „ჩილქ“, „რობოთი“ – „რობლენი“, „ძაყობქლოთბის ძალითა“ – „შქძქლქტლისა ძალითა“; გვ. 230 – „ენდობა ყქნია“ – „ენდობილა“; გვ. 243 – „ეყლისძოცღვიენ“ – „ეყლისძოძქენ“; გვ. 265 – „ყძახის“ – „ყწოლს“; გვ. 283 – „ცხოჯობისათვის“ – „ცხონებისათვის“ და სხვ.

ბეჭედი: „ქმწკგ საზოგადოების“ – მე-9 გვერდსა და უკანა ფორმაცზე.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1938 წელს.

8. FS 3 365 – საქრისტიანო მოძღვარება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა ზელა ... – რომი. – 1797 – 238 გვ. არასრული ეგზემპლარი, აკლია გვერდები: 17-18, 21-22, 39-41, 47-48, 141-144, 151-154, 159-160, 175-178 და 238 გვერდის შემდეგ ბოლომდე.

ყდა: (17,5x11) სმ. ქაღალდგადაკრული მუყაო. ყუბა გყავისაა.

რესტავრირებულია თეთრი, უხეში ქაღალდით, დაზიანებულია გვ. 35.

ხელნაწერი: აღდგენილია 11, 23, 25, 37, 43, 45 და 165 გვერდების გეჟსტი.

მინაწერი:

1. «Собственная принадлежность Ягора Адамыча Оболадзе» – ფორმაცზე
2. «Временная принадлежность Илья Татикова (Матикова)» – გვ. 127.

⁵³ შეცლომით იგულისხმება რომში პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვის თარიღი 1629 წ.
⁵⁴ იგულისხმება ვახტანგ VI-ის სგამბის პირველი პროლეუქციის გამოცემის თარიღი.



და სხვა გაურკვეველი, უმნიშვნელო მინაწერები უკანა ფორმაცზე.
ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1938 წელს.

9. FS 3 788/1 09⁵⁵ – საქრისტიანო მოძღვარება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა
ზელა ... – რომი. – 1800⁵⁶ – 416 გვ. წიგნს აკლია ბოლო 417-418 გვ.

ყდა: (16x11,5) სმ. მკვრივი მუყაოსი, ქალაღგადაკრული ყუა: ცყავის,
ოქროსფერი წარწერით „Dottrina Cristiana“.

მინაწერი: ფორმაცზე, წითელი მეღნით ქმწკგ საზოგალოების საკლასიფიკაციო
ნიშანი – „ბ. 12⁰²“, შავი მეღნით „3788“.

ბეჭელი: „ქმწკგ საზოგალოების“ მრგვალი – ფორმაცსა და სატიგულე გვერღზე.
ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეგისტრირებულია 1970 წელს.

10. PG 2/1800 – საქრისტიანო მოძღვარება გინა წურთნა შვილთა საიღუმლოთა
ზელა ... – რომი. – 1797 – 416 გვ. არასრული ეგზემპლარი, აკლია 417-418 გვ., 45-ე
გვერდიღან ბოლომღე წიგნის ფურცლები ღაღაქავებულია შავი მეღნით, რის გამოც
გაქღენთილი აღგილები ღაქანგულია და ღაშლილი.

ყდა: (16x11) სმ. მკვრივი, მუყაოსი, ქალაღგადაკრული. ყუა: ცყავის,
გაცრეცილი, მარტივი გვიფრული ორნამენტიული წწულით გაფორმებული.

სარესტავრაციო: ყდა – ყუა და წიგნის ორივე ფრთა მოცილებულია კორპუსს.

აკინბვა: 1-63 გვ. ნახვერად ამოვარღნილია. 415-ე გვ. ამოვარღნილია და
სარესტავრაციო.


მინაწერი:

1. „ანღლია ზუჭალაძჭილი“ – ფორმაცზე. შესრულებულია შავი მეღნით, იკითხება
მხოლოღ ფრაგმენტი. იქვეა გაურკვეველი ფაქსიმიღე.
2. „ცლყუჩანთ, ღ. (თაღქმანი იცალიყლი) საქრისტიანო მოძღვარება. 1897 წ.წ.
82...“ – ფორმაცის მე-2 გვ., ფანქრით.

წიგნის პალატაში რეგისტრირებულია 1939 წელს.



⁵⁵ ღავით წუბინაშვიღის პირადი კოლექციის ეგზემპლარი.
⁵⁶ ბიბლიოთეკაში ღაცულ ეგზემპლართაგან თავფურცელზე ღაბეჭღვის თარიღად მხოლოღ
მას აქვს მითითებული 1800 წელი. გექსტოლოგიურად იგი 1797 წღის გამოცემის იღენგურია.
ამღენად, ისევე როგორც, ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის (გ. 1) შემღგენლებს, ჩვენს
მოცემული ეგზემპლარი ცალკე გამოცემად არ ჩავგვითვღია.



406	საბიეღელი	
ხვეწნა ბმანთ .		8
ხუცარ კურთხევან .		261
ხო-რციული კეთიღმომ-ქმედღანი .		54
ქო-ქო-ხეთი .		20
ქუანრსცმან .		20
ჭანთიერიცი .		303



კეთიღომ- ღღმომ-ქეითხვეღომ .

გეუწყებომ-ღეს პირვეღანღ , რომ-
რანღც პირვეღს ღანღეღღუღსან შინან ,
მეჩვენებომ-ღან , ან თანღემომ-ბინან , ან სი-
ტყვის ფიქრისან, ხანკლეღთუღომ-ბან, ამანსან
შინან ზეგანსრუღე :

მეომ-რეღ რომ-შენღომ-ბანსან ზეღან ,
მისივე რანღომ-ბინან მესანტყომ-ბღანღ,სწან-
ღეღბანღ ვანზავრციღეღ. ღზომ-გენი შენღომ-
ბანნი თანთიღნურიღღგან ქანრთუღანღ ვანრ-
ღმ-ღეღბით მ-უღმანტე : მე-

საქრისტიანო მოძღვარება.
რომი. 1797.



საანბანო წიგნი. ლაიპციგი. 1743.
თავფურცელი.

PG 1 /1743 – Fritz Johann Friedrich,⁵⁷ Neue er ffnetes in hundert Spracehn bestehendes ABC. Buch, oder gr ndliche Anweisung in welcher der zarten Jugend nicht allein in der Deutsch, Lateinisch, Franz sisch, Italienischen, sondern auch zu denen mesiten Orientalischen Sprachen, deren Erkenntnis und Ausprache in Kurzer Zeit zu lernen, ein liechter Weg gezeigt wirdt. Leipzig, bei Christian Friedrich Gessner, 1743.-160 s.

S. 96 – Nachricz vom Grusinischen⁵⁸

S. 97 – Das Grusinische Alphabet.

ყდა: (17.5x10.5), მკვრივი მუყაო, ქალღალღაკრული. ყუა: ჩალისფერი, გყავის. რამღენიმე გვიფრული, ოქროსფერი სამკით. ყუის მუქ გყავზე ამოგვიფრულია სათაური: „A. B. C. Buch“.

მინაწერი:

1. „1743-1 2/II 59. საანბანო წიგნი, 100 ენაზე. ლაიფციგში, 1743 წ. ეკბანულ ენაზე. ლაიფციგშია ეპიცეპული, შიე აბის ქაბიული ქგბიფცი. ეკ. 97. სყსყობი, მხლბული – შიიფცი“ – ფორმატზე.

სახელმწიფო წიგნის პალატაში ეგგემპლარი რეგისტრირებულია 1959 წლის 2 ოებერეალს.

⁵⁷ „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ I ტომის დამატებით I ტომში (თბილისი 1969, გვ.9, № 3) წიგნი აღწერილია პირობითი სათაურით [ქართული ანბანი]. შემღგენელს ვინაობა აღნიშნულ ბიბლიოგრაფიაში არ ფიგურირებს. მოგვაქვს ნაშრომის სრული ბიბლიოგრაფიული მონაცემები ქართულ ენაზე: ფრიც იოჰან ფრიდრიხ, საანბანო წიგნი, ახალი გამოცემა, ანუ საფუძვლები არამარგო ლათინური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, არამედ მრავალი აღმოსავლური ენის მოკლე ღროში აღვიღალ სასწავლალ. – ლაიპციგი, ქრისტიან კესნერის გამოცემლობა, 1743, 160 გვ.

გვ. 96 – ქართველთა შესახებ. გვ. 97 – ქართული ანბანი: [ასო-ნიშანი მოცემულია ნუსხა-ხუცურით, ბეჭდურით, ხელნაწერით, აგრეთვე გრანსკრიპცია ლათინური ასოებით და მისი შესაგყვისი ლათინური ანბანში.] იხ. ღანართი I. 11

⁵⁸ ინფორმაცია მოხმობილია გ.ფ. მიულერის წიგნიდან: რუსეთის ისტორია: კრებული 9 ტომალ, (1732-1765), ტ. 2, გვ. 25. „გრუმინები, მელეტინები და საქართველო მღებარეობს კასპიის ზღვასა და სამეგრელოს შორის, ძველად საქართველოს იბერია ერქვა. ეს ქვეყნები სარგებლობდენ ანბანით, რომელიც ნარევია სომხური და ბერძნული ანბანის; ისტორიულად ჯერ კიდევ გაურკვეველია თუ როლის წარმოიშვა ეს დამწერლობა, კონსტანტინეს ღროს ხომ არა? იქ ცარი მეფობს. ქართველთა მეფე დავითმა მთელი სამეფოს მფარველობა სთხოვა რუსეთს 1586 წელს. მიხაილ ფელროთვიჩის მმართველობის ღროს. მეფე თეიმურაზმა, დავით მეფის ვაჟმა, ეს იღუა განახორციელა. ღღემლე ამ ენის შესახებ ცოტა რამ იყო ცნობილი, ვიღრე პეგერბურგში სგამბა არ ღაარსლა და საქართველოს მეფემ თავისი ქართული შრიფტი არ ჩამოასხმევინა, რის შემღევაც ქართული საანბანო წიგნის ბეჭდვა გახლა შესაძლებელი“ გამოცემის ბიბლიოგრაფიული მონაცემები და გექსტი საქართველოს შესახებ გერმანულიდან ოარგმნა მათა სიმონიშვილმა, რისთვისაც მაღლობს მოვახსენებთ.



ნაწილი II

არჩილ II-ის გამოცემა

მოსკოვი.

1705.

ხელით აკეთებს ფრანგულ მინაწერს, საიდანაც ჩანს, რომ შპარვენფილდი იცნობდა არჩილ მეფეს, რომ ამ უკანასკნელმა მას ხალათი უბოძა და, რომ მან არჩილ II-ისათვის კიშს დაამზადებინა ქართული შრიფტის გიჟები ამსტერდამში. ამას მოწმობს ი. შპარვენფილდისა და მ. კიშის მიმოწერაც.⁶⁸ ფრ. სიხარულიძის აზრით, აღნიშნული საქმის ორგანიზება ასე უნდა მომხდარიყო: შვედი დიპლომატი შპარვენფილდი ნიდერლანდების რეზიდენტ კელერს დაუკავშირებოდა მოსკოვში და მისი მეოხებით გადაგზავნიდა ამსტერდამში ქართული ანბანის არჩილ მეფის მიერ გადაცემულ ნიმუშებს – დენებს, რომლებზე დაყრდნობითაც უცხოელ ოსტატს ლითონისაგან უნდა გამოეჭინა ქართული ასოები. თავის მხრივ, კელერი მიმართავდა მაღალი თანამდებობის პირს, ამსტერდამის მერ ნ. ვიგენს, რომელიც ქართული ანბანის ლითონში გამოქანდაკების საქმით დაინტერესებულა. არჩილისა და კიშის თანამშრომლობის ამსახველი 1700 წლის, ფრანგული მინაწერი შპარვენფილდისეულ ჰერბელოტის წიგნზე წარმოაჩინა კარლ იაკობოვსკიმ. მანვე მკვლევართათვის ხელმისაწვდომი გახალა შპარვენფილდისადმი მიკლოშ კიშის მიერ მოსკოვში ლათინურ ენაზე მიწერილი 2 წერილი: 1686 წლის 12 ნოემბრისა და 1687 წლის 17 იანვრის. ისინი იაკობოვსკიმ გამოავლინა 1932 წელს შვეციის ქ. ლინჩოპინგის საეპარქიო ბიბლიოთეკაში. 1935 წელს წერილები გამოაქვეყნა კარლ ბიორკომმა,⁶⁹ პროფ. გრ. წერეთლის დახმარებით, ისინი ლათინურიდან ქართულად თარგმნა ქრ. შარაშიძემ. მათ საფუძველზე გ. შარაძე მიიჩნევს, რომ მოსკოვში მყოფი შპარვენფილდისადმი კიშს ამ ორის გარდა სხვა წერილებიც უნდა ჰქონოდა მიწერილი ამსტერდამიდან ქართული შრიფტის დამზადების თაობაზე. (მსგავსი მოსაზრება აქვს ქრ. შარაშიძესაც: „მას (კიშს) ხუთგზის მაინც უნდა ჰქონდეს გადაგზავნილი ასოების ნიმუშების სხვადასხვა ჯგუფი შპარვენფილდისადმი და ალბათ ხუთგზისვე მიწერილი აქვს წერილი“);⁷⁰ ქართული შრიფტის შეკვეთისას არჩილ მეფეს მიკლოშ კიშისთვის გაუგზავნია ხელნაწერი ნიმუშები, რომლებიც კიშს მაინცდამაინც არ მოსწონებია; რაკილა ამ მიმართულებით გაწეულ თავის შრომას კიში „პირველი ყინულის მგვრევის დასაწყისს“ უწოდებს, ჩანს, რომ მისთვის უცნობი იყო 1629 წლიდან რომში მხედრული ნაბეჭდი ქართული წიგნების არსებობის ფაქტი და, შესაბამისად, ქართული მხედრული შრიფტის ჩამოსხმის ამბავიც. კიში უკმაყოფილობას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართველებმა ვერ მოახერხეს მასთან სათანამშრომლოდ ამსტერდამში ჩასვლა;

⁶⁸ გრ. შარაძე, მიკლოშ კიში გოგფალეში და ქართული სტამბა. - თბ., 1982, გვ. 33-39.

⁶⁹ 1935 წელს სტოკჰოლმში გამოქვეყნდა კ. ბიორკომის გამოკვლევა „ჰენრიხ III კაიზერის ქართული შრიფტის სასინჯი ანაბეჭდი“//გრ. შარაძე, მიკლოშ კიში გოგფალეში და ქართული სტამბა. - თბ., 1982, გვ. 60.

⁷⁰ ქრ. შარაშიძე, ქართული შრიფტი ამსტერდამში. - თბ., 1937, გვ. 28.

ხოლო არჩილსა და მას შორის, პრაქტიკული საკითხების მოსაგვარებლად სომეხი ვაჭარი მ. დავითიანი შუამავლობს; კიშის წერილებიდან ჩანს, რომ მას 1686–87 წლებში, ამსტერდამში, არა მარტო გამოუქანდაკებია (ამოუჭრია) ქართული შრიფტის სამი სახეობა, ე.ი. დაუმზადებია პუანსონები, არამედ კიდევ ჩამოუსხამს ისინი, ე.ი. დაუმზადებია ლიტერებიც.⁷¹

არჩილისაგან, შპარვენფილდის მეშვეობით, ქართული სასტამბო შრიფტის შეკვეთისა და მიკლოშ კიშის მიერ მისი დამზადების ფაქტი დასტურდება შემდეგი წყაროებით: 1686 წლის 12 ნოემბერსა და 1687 წლის 17 იანვარს ამსტერდამიდან კიშის მიერ მოსკოვს შპარვენფილდისადმი მიწერილი წერილები; არჩილ მეფის წერილი (მოსკოვიდან გაგზავნილი ამსტერდამს 1687 წლის 17 დეკემბერს) ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის, ამსტერდამის ბურგომისტრ ნიკოლა ვიგენისადმი; 1698 წელს კოლოკვარში კიშის მიერ დაბეჭდილი თბულება „მენხეგი“; 1700 წელს შპარვენფილდის მიერ გაკეთებული ფრანგულენოვანი მინაწერი თავის ნაქონ წიგნზე (Herbelot. Paris, 1697); 1702 წელს კოლოკვარში – გრანსილვანის დედაქალაქში დიდი ხელოვანის დასაფლავების დღისთვის დაბეჭდილი ერთი ლათინური პირველწყარო; არჩილ II-ის 1703 წლის 2 ივლისის წერილი გოლოვინისადმი. რაც შეეხება მიკლოშ კიშისეული ქართული შრიფტის სახეობას, მკვლევართა აზრი ამ საკითხზე ერთ ხანს ბუნდოვანი და მცდარი იყო:

1934 წლის შემოდგომაზე ქრ. შარაშიძემ სტოკჰოლმიდან მიიღო სამეფო წიგნსაცავის ბიბლიოთეკარის კ. ბიორკომის წერილი, რომელსაც თან ახლდა შვეციაში (სტოკჰოლმში) დაბეჭდილი ქართული შრიფტის სასინჯი ანაბეჭდის ფოტოკოპირი. მასზე სამი სხვადასხვა სიდილის ქართული ანბანი წარმოდგენილი, ამათგან ორი, დიდი და პატარა, ასომთავრულის ვარიანტებია, ხოლო მესამე – წერილი ხუცური. ანაბეჭდ ფურცელზე, ანბანის გარდა, იმავე შრიფტით აწყობილი ორი გექსტია: „მამაო ჩვენო“ და „ღვთისმშობელო ქალწულო“. ბიორკომმა წარმოაჩინა ასევე კანცელარიის კოლეგიუმის 1703 წლის 29 ოქტომბრის ოქმის ჩანაწერი და ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ მამისადმი სტოკჰოლმიდან მოსკოვში გაგზავნილი 1703 წლის 8 დეკემბრის წერილი: 1...ინსპექტორმა და თარჯიმანმა ლინდმანმა კოლეგიუმს წარუდგინა შეკვრა, რომელშიც იყო ასოების ჩამოსასხმელი. გყვე მელითელმა პრინცმა თქვა, გაკეთებულია ქართული ანბანისათვის, აგრეთვე ასლი ან ანაბეჭდი ამ ანბანის. სამეფო კოლეგიას ის სთხოვს მათ შინ, მოსკოვს, გაგზავნის ნებას; მხოლოდ კოლეგიას არ შეუძლია ამ საკითხის გადაწყვეტა, ამიტომ მას განსახილველად

⁷¹ გრ. შარაძე, მიკლოშ კიში გოგფალეში და ქართული სტამბა. - თბ., 1982, გვ. 40-43.

გადასცემს სენაგს“.⁷² 2. „ჩვენი ენის ანბანის სრული კომპლექტი დიდი ხანია მზალაა, მაგრამ მე ვერ გადამიწყვეტია მისი გამოგზავნა. მე მაკრთობს ფიქრი, რომ გზამი რაიმე არ მოხდეს“.⁷³

სტოკჰოლმში ქართული შრიფტის ჩამოსხმის მცოდნე ხალხის არარსებობის გამო, ბიორკობმა უარყო შესაძლებლობა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა ხელახლა ჩამოსახმევინა შრიფტი. მან თავის მიერ აღმოჩენილი ანაბეჭდის შრიფტი 1686-1687 წწ. წერილებში მოხსენებულ კიშისეულ ნახელავად მიიჩნია. ბიორკობის ამრიგად გაიზარა ქრ. შარაშიძემაც, თუმცა მან სამართლიანად უარყო ამ შრიფტის გამოყენების შესაძლებლობა არჩილ მეფის მიერ 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილ „დავითნი“.⁷⁴ მის მიერ მიწოდებული ცნობის საფუძველზე კ. ბიორკობისათვის უცნობია მიიღო თუ არა მეფე არჩილმა ქართული შრიფტი, რადგანაც იგი ქართული ფსალმუნის 1705 წლის არჩილისეულ გამოცემაში არ გამოუყენებიათ.

ბიბლიოთეკარმა ერიკ გრენმა 1947 წელს, შვეციის ქალაქ უპსალას საუნივერსიტეტო წიგნთსაცავში აღმოაჩინა და აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს გააცნო 1703 წელს სტოკჰოლმში ალექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით დამზადებული ორი ქართული სტამბური სასინჯი ანაბეჭდი: პირველი ისეთივე იყო, როგორც სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული „ანბანი“, „მამათ ჩვენო“ და „ღვთისმშობელ ქალწულ“ – მეცნიერთათვის ცნობილი კ. ბიორკობის 1935 წლის გამოკვლევით; მეორე – მანამდე სრულიად უცნობი სახეობა „გაძრად მიყვანების“ ტექსტით. იგი აღწერა და თავის ნაშრომში გამოაქვეყნა უნგრულმა ისტორიკოსმა ლასლო ორსაგმა.⁷⁴ ჯ. ვათეიშვილმა 1977 წელს გამოაგვლინა მესამე სახეობა. მასზე არის თავად ჰენრი III კაიზერის ბეჭდური მარგინალია.

გ. შარაძის აზრით, არჩილ მეფესა და მიკლოშ კიშს შორის 1686 წელს შპარვენფილდის მიერ წამოწყებული შუამავლობა ჩაიშალა და კიშისეულმა ქართულმა შრიფტმა მაშინ არჩილამდე ვერ მიაღწია. 1700 წელს კი გყველ მოხვედრილმა ალექსანდრე ბატონიშვილმა ნახა მამამისის ძველი მეგობარი შპარვენფილდი, რომელიც, რუსული ენის ცოდნის გამო, რუს გყველებთან თარჯიმნად იყო მიმავრებული და მისი ინიციატივით ხელახლა წამოიწყეს ქართული შრიფტის დამზადებაზე ზრუნვა. კერძოდ, იგი დაუხმარებოდა ალექსანდრეს ჰენრი III კაიზერის სტამბაში ჩამოსხმა ქართული შრიფტის ახალი სახეობა და ახლა მაინც გადაეგზავნა იგი მოსკოვში, იქ უკვე საბოლოოდ დასახლებული არჩილ მეფისთვის. გ. შარაძისგან

⁷² გრ. შარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

⁷³ იქვე, გვ. 63.

⁷⁴ იქვე, გვ. 74.

განსხვავებით ჯ. ვათეიშვილს⁷⁵ მიაჩნია, რომ მიკლოშ კიშმა 1689 წელს კლუქში გამგზავრებამდე ამსტერდამიდან სტოკჰოლმში (შემდგომში მოსკოვში გადასაგზავნად) შპარვენფელდს გაუგზავნა მის მიერ დამზადებული პუანსონები და მაგრიცები (მათი ჩაგანა მოსკოვში იმ დროს ვერ მოხერხდა, რადგანაც არჩილი თავის შვილებთან ერთად გაემგზავრა საქართველოში იმერეთის გახტის დასაბრუნებლად), ხოლო შემდგომში შპარვენფელდმა გყველმყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს გადასცა ისინი შემდგომი სრულყოფისთვის. ჯ. ვათეიშვილს⁷⁶ აზრით, ალექსანდრე ბატონიშვილის კავშირს შვედ ტიპოგრაფ ჰენრი III კაიზერთან (ცნობილი შვედი მესტამბეების შთამომავალი) ხელი შეუწყო მიქაელ ენემანმა (შვედი მეცნიერი, მოგზაური, აღმოსავლეთმცოდნე), რომელიც პირადად იცნობდა კაიზერ უმცროსს.

ამსტერდამულ და სტოკჰოლმურ შრიფტებთან დაკავშირებით მკვლევართა აზრი ორად გაიყო: ერთის მტკიცებით (კ. ბიორკობი, ა. ბარაშიძე, ო. გვინჩიძე, ჯ. ვათეიშვილი) ჰენრი III-მ გამოიყენა მიკლოშ კიშისეული პუანსონები და მაგრიცები ქართული შრიფტის ჩამოსხმისას, მათი ოპონენტები კი (ქრ. შარაშიძე, ა. აბრამიშვილი, ო. კასრაძე, გ. შარაძე, ფ. სიხარულიძე, აგრეთვე ლ. გარდი, უ. ბირგეჰორდი, დ. ლეინი) თვლიან, რომ ჰენრი III-მ დაამზადა სრულიად ახალი ქართული შრიფტი უშუალოდ ალექსანდრე ბატონიშვილის აქტიური მონაწილეობით.

რუმინელი ვირჯილ მოლინის ორიგინალური მოსაზრებით, არჩილმა ამსტერდამიდან მიიღო არა მარტო გოტფალუისადმი შეკვეთილი შრიფტი, არამედ სტამბის სრული მოწყობილობა და თითქოს სწორედ ეს სტამბა გამართა ვახტანგ VI-მ თბილისში 1709 წელს. მოლინის ეს მოსაზრება სამართლიანადაა გაკრიტიკებული და უარყოფილი ქართველი მკვლევარების მიერ. გ. შარაძის აღნიშვნით, სტოკჰოლმსა და უპსალაში აღმოჩენილ ქართულ სტამბურ სასინჯ ანაბეჭდთა შრიფტს, ბიორკობის მსგავსად, უყოყმანოდ აიგივებდნენ მიკლოშ კიშის მიერ 1686–87 წლებში დამზადებულ ქართულ შრიფტთან უნგრული მეცნიერები ლ. ორსაგი, ა. სეკეი, გ. გოლნაი, დ. ჰაიმანი და ე. იაკო. ასე იყო 1980 წლამდე, სანამ სამეცნიერო მივლინებაში მყოფი უნგრელი მეცნიერი რობერტ დანი ამსტერდამის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში აღმოაჩენდა 1687 წელს დამზადებულ მიკლოშ კიშის ქართულ შრიფტთა ნამდვილ ანაბეჭდს. ამ ფაქტმა მთლიანად შეცვალა აღრინდელი წარმოდგენა მიკლოშ კიშისეული ქართული შრიფტის რაობასა და მის მიმართებაზე სტოკჰოლმურ (1703 წ.) თუ მოსკოვურ (1705 წ. ფსალმუნის) ქართულ შრიფტებთან.

⁷⁵ ჯ. ვათეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ., 163, 366.

⁷⁶ იქვე, გვ., 369.

ამსგერდამში აღმოჩენილ (31x22) სმ. ზომის ფურცელზე, მდიდრულად ორნამენტირებულ ჩარჩოებს შორის, ორ სვეტად მოთავსებულია სამი სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქართული შრიფტი. მარჯვნივ ზევით გექსტი ხუცურია, მის ქვემოთ ასოები – იმავე გექსტისა. უფრო ქვევით, მარჯვნივ, ჩანს ის ასოები, როგორცაც ღვთის „მხედრულს“ ვუწოდებთ და ამ ასოებით დაბეჭდილი საეკლესიო გექსტი. მარცხნივ, ისევ „ხუცურია“, ოღონდ უფრო შავი, ქვევით კი უფრო ძველი „მრგვლოვანი“. ამ ანაბეჭდის საფუძველზე, რობერტ დანი უარყოფს არსებულ ამრს უქსალას საუნივერსიტეტო თუ სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკებში დაცული ქართული სასინჯი ანაბეჭდების მიკლომ კიშის ასოების მიხედვით დამზადების თაობაზე. მკვლევარი წერს, რომ კიშისეული ნახელავი ასახული ამსგერდამში აღმოჩენილ ანაბეჭდზე: „აღმოჩნდა ქართული შრიფტის სამივე სახეობის ანაბეჭდი, დამზადებული 1687 წელს, ქალაქ ამსგერდამში მიკლომ კიშის მიერ შექმნილი ქართული ასოებით. მასზე არის უცნობი ხელით შესრულებული ლათინური წარწერა: ქართველები ცხოვრობენ კავკასიონის მთების ძირში, კასპიის ზღვის დასავლეთით. აქამდე მათ ჰქონდათ მხოლოდ ხელნაწერი შრიფტი, მაგრამ მეფე არჩილის შეკვეთით უნგრელმა მიკლომ კიშმა სპილენძზე ამოჭრა ასოები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სტამბისათვის. წარწერა მთავრდება საჭირო მითითებით „ამსგერდამში“ (ე.ი. ამსგერდამი) და თარიღი 1687“.⁷⁷

უქსალას საუნივერსიტეტო და სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკებში დაცული ქართული სასინჯი ანაბეჭდების მიკლომ კიშის ასოების მიხედვით დამზადებას ეთანხმება ჯ. ვათეიშვილი.⁷⁸ მას ამსგერდამში აღმოჩენილი ანაბეჭდები კიშისეულ საცდელ ვარიანტად მიაჩნია, აღნიშნავს, რომ ჰენრი III-ს კაიზერს არ ჰქონდა შესაბამისი გამოცდილება და არც ტექნიკური საშუალება ისეთი რთული დავალების შესასრულებლად, როგორცაა ქართული შრიფტის ხელახალი ჩამოსხმა. მისი აზრით ამაზე მეტყველებს კაიზერის ბეჭდური მარგინალიაც, გაკეთებული სტოკჰოლმურ (მესამე) ანაბეჭდზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით გურამ შარაძე ასკვნის: ამსგერდამული ანაბეჭდის გელა არშიაზე უცნობი ხელით შესრულებული ლათინური მინაწერი მიეკუთვნება მიკლომ კიშს, რადგან ძალიან ჰგავს 1698 წელს მის მიერ დაწერილი თხზულების („თავის გასამართლებლად“) ადგილს შინაარსობრივად და ფრაგმენტოლოგიურადაც. ეს კი მეტ საფუძველს ქმნის, რომ ამსგერდამის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი ანაბეჭდი სწორედ მიკლომ კიშისეულ ქართულ სასტამბო შრიფტს ასახავდეს, დამზადებულს 1687 წელს არჩილ მეფის შეკვეთით; რაც შეეხება 1703

⁷⁷ გრ. შარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

⁷⁸ ჯ. ვათეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 371.

წელს სტოკჰოლმის ჰენრი III კაიზერის სტამბაში დაბეჭდილ ქართულ გექსტებს, ისინი აწყობილია შვეიციაში გყველ მყოფი ალექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით (სტოკჰოლმში ქართული შრიფტის შექმნა და უქსალასა და სტოკჰოლმში აღმოჩენილი სასინჯი ფურცლების დამზადება სწორედ მისი დამსახურებაა), ხოლო 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილი „დავითნის“ შრიფტი ისევ არჩილ მეფის დავალებით დაუმზადებია მ. ეფრემოვს მოსკოვის სახაზინო სტამბაში. (ო. გვინჩიძე მანამდე ვარაუდობდა, რომ იქნებ მოსკოვში „დავითნის“ გამოსაცემად არჩილს ანთიმოზ ივერიელის მიერ სნაგოვის მონასტერში დამზადებული ქართული შრიფტი ჰქონდა გამოყენებული).⁷⁹

რობერტ დანის მიერ ამსგერდამში აღმოჩენილ მიკლომ კიშის ქართული შრიფტის 1687 წლის ანაბეჭდებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული სტამბის ისტორიისთვის. მანამდე უცნობი იყო კიშის მიერ 1687 წელს ამსგერდამში ქართული მხედრული შრიფტის დამზადება და ვახტანგ VI-ის სტამბის (1709-1721 წწ.) მხედრული შრიფტი ითვლებოდა მეჩვიდმეტე საუკუნის 30-იან წლებში იტალიაში დამზადებული შრიფტის (იხ. 1629 წელს ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ქართული ანბანი ლოცვებითურთ) მომდევნო საფეხურად. შარაძის ვარაუდით, არჩილს მხედრული შრიფტის დამზადება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დასაბეჭდად ჰქონდა გამიზნული. (რაც თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ, 1712 წელს, თბილისში, ვახტანგ VI-ის სტამბაში განხორციელდა).

თავისი ხანგრძლივი და მრავალჯერადი მცდელობის შედეგად არჩილ II-მ შეძლო 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდა ქართული „დავითნი“. როგორც ვიცით, 1703 წლის სტოკჰოლმური ანაბეჭდის შრიფტი არ ჰგავს ამ წიგნის შრიფტს. მეცნიერებისათვის ცნობილი და ყურადსაღები გახდა ფაქტი, რომ 1703 წლის 2 ივლისის წერილში არჩილ II თავად გოლოვინს აცხობინებდა ქართული შრიფტის ლიტერები უკვე მზადად და შუამდგომლობას სთხოვდა პეტრე I-თან ქართული წიგნების ბეჭდვის ნებართვაზე. ეს მაშინ, როცა 1703 წლის 8 დეკემბრის წერილში შვედეთში გყველმყოფი ალექსანდრე არჩილის ძე კვლავ ჭოჭმანობდა სტოკჰოლმიდან ქართული შრიფტის გამოგზავნას, გზაზე მათი დაკარგვის შიშით. ფრ. სიხარულიძის მოსაზრებით, ალექსანდრე ბატონიშვილმა, ვაჭარ მ. დავითიანის ხელით, მოსკოვში მყოფ მამას სტოკჰოლმიდან გამოუგზავნა მატრიცები. მათი საშუალებით კი მ. ეფრემოვმა მოსკოვში ჩამოასხა ქართული ლიტერები. ამის შედეგია სხვაობა სტოკჰოლმში ნაბეჭდ „ანბანსა“ და მოსკოვში გამოცემული „დავითნის“ შრიფტებს შორის.

თავდაპირველად ალ. ხახანაშვილმა ივარაუდა 1705 წლის „დავითნის“ შრიფტის მოსკოვის სახაზინო სტამბაში დამზადება. კეკელიძის იგივე მოსაზრება გაიზიარა

⁷⁹ ო. გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი. - თბ., 1973, გვ. 75, გვ. 94-95.

კასრაძემაც. იგი განსაკუთრებულ მოვლენად მიიჩნევს 1705 წლის არჩილისეულ „დავითნს“ ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში, რადგანაც, რომის გამოცემებისაგან განსხვავებით, ის მოძრავი შრიფტით აწეობილ პირველი ქართული წიგნია. ფრ. სიხარულიძემ მოიპოვა საარქივო დოკუმენტები,⁸⁰ რომლებშიც აღწერილია მოსკოვის სკამბაში პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვაზე გაწეული მუშაობა და ხარჯები: 1704 წელს გაუკეთებიათ ქართული წიგნის დასაბეჭდი დაზგა. ღურგლები იყვნენ ტ. ალექსეევი და ფ. საველეევი, მბეჭდავები – პ. დიმიტროვი, ი. პეტროვი. მომღვენო, 1705 წლის მარტში „დავითნი“ გამოიცა. პეტრე I-ს ქართული წიგნების დასაბეჭდად 200 მანეთი გამოუყვია. უყიდათ 27 მანეთის ქალაღი, ოსტატებზე გაუციათ 19 მანეთი. ქართული წიგნის ბეჭდვის მთავარი საწარმოო პროცესი წარუმართავთ ორ რუსსა და ორ ქართველს. რუსები ყოფილან მბეჭდავი და საღებავის წამსმელი, ხოლო ქართველები – ასოთამწეობი და ჩამსმელი. საჭირო კალის შექმნაზე, ჩამოსხმასა და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე დახარჯულა 43 მანეთი. დაზგის გასაკეთებელი მასალა (ხის, რკინისა) 5 მანეთად შეუძენიათ, ხოლო ოსტატებისათვის 6 მანეთი მიუციათ. ასოთჩამომსხმელ მიხეილ ეფრემოვის ასოების ჩამოსხმის, გაწმენდისა და კალის მოჭანისათვის 87 მანეთი რგებია. დაუბეჭდავთ 600 ცალი „ფსალმუნი“, ზომით 40, ოცდოთხნახევარი რეეული. სულ ამ ქართულ წიგნზე 178 მანეთზე მეტი დახარჯულა. აღნიშნული საარქივო დოკუმენტებიდან გაირკვა ისიც, რომ პუანსონების დამზადების გარდა ყველა სამუშაო შესრულებულა მოსკოვის გიპოგრაფიაში, ხელთ ჰქონიათ 174 პუანსონი და 185 მაგრიცა.⁸¹ აქვე უშრომიათ შრიფტის ხარისხის ასამაღლებლაც. გამოცემას ჰქონია ორენოვანი თავფურცელი. მის სლაგურ გექსტში არჩილი მოხსენიებულია იმერეთის მეფედ, წიგნი კი იმერულ ენაზე დაბეჭდილად. 1705 წელს „დავითნის“ შრიფტის რაობაზე მკვლევართა აზრი სხვადასხვაობს. უგყუარია მიკლოშ კიშის მიერ არჩილ მეორის შეკვეთით ამსტერდამში 1686-1687 წლებში ქართული შრიფტის დამზადება, უგყუარია ალექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით 1703 წელს ჰენრიხ III კაიზერის სკამბაში ქართული შრიფტის დამზადებაც, მაგრამ საღაოა კავშირი მათ შორის და მათი გამოყენება 1705 წელს მოსკოვში ეფრემოვის მიერ დაბეჭდილ „დავითნში“. ფაქტია, არცერთი შრიფტი აბსოლიტურად იდენტური არ არის. კვლავაც კვლევის საგნად რჩება, შრიფტის შემდგომი სრულყოფისათვის გაწეული გარჯაა ამის მიზეზი თუ მათი განსხვავებული წარმომავლობა.

1705 წლის „დავითნი“ იმ ღროსთვის დიდი გირაჟით დაიბეჭდა, ღღეს იშვიათობაა, ერთადერთი სრული ცალი დაცულია მოსკოვის სინოდალური სკამბის

⁸⁰ ფრ. სიხარულიძე, პირველი ქართული წიგნი/საბჭოთა ხელოვნება“. 1968, N 5, გვ. 29-32.

⁸¹ მსცა, ფონდი 1182, წიგნი 30, ფურც. 2,5, 30// ფ. სიხარულიძე, მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის ისტორიიდან. - თბ., 1990. გვ. 33.

ბიბლიოთეკაში. ერთი ეგზემპლარი, FS 1392 (F 248/1), საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება 1937 წლიდან. მინაწერთა მიხედვით, 1848 წელს იგი ეკუთვნოდა მოზდოკელ ქართველს, დავით იოანეს ძე იოთამიშვილს. შემდეგ წიგნი ქმწკ საზოგადოების ბიბლიოთეკაში მოხვედრილა. ქართველ ენათმეცნიერს აკაკი შანიძეს მის ფორმაცზე მიუწერია: „ეს დავითნი, რომელსაც თავში აკლია და შემდეგ შეუესიათ, როგორც ვაგცობ, დაბეჭდილი უნდა იყოს 1705 წელს მოსკოვში, არჩილ მეფის მიერ. სრული ცალი მოეპოვება მოსკოვის სინოდალური სკამბის ბიბლიოთეკას. სლაურად დაწერილ წინასიტყვაობაში არჩილ მეფე მოხსენიებულია იმერეთის მეფედ. ნათქვამია, რომ იგი დაბეჭდილია იმერულ ენაზე (на имеретинском языке) ა. შანიძე. 27/V 1923“. ცნობა სინოდალური სკამბის ბიბლიოთეკის ეგზემპლარის შესახებ და რუსული თავფურცლის გექსტის გამოაქვეყნა ალ. ხახანაშვილმა ჟურნალ „მოამბეში“ (1900 წ.).

სამწუხაროდ, 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილი „დავითნი“, ერთადერთი შეღეგია არჩილ II-ის ხანგრძლივი და შეუპოვარი მცდელობისა მამულის სასიკეთოდ აემოქმედებინა ქართული სკამბა.

ჯაჯანიძე ანა

გაფორმება – თავფურცელი ორნამენტულ ჩარჩოში, თავსამკი უფლის ხაგით და ბოლოსამკი ყვავილიანი ლარნაკით.

1. FS 1 392 – ღავითნი. — მოსკოვი. – 1705, – [8] ხელნ. (12-184), [8]. წიგნს აკლია 1-11, 55, 162, 166-169 ფურცელი და 184-ის შემდეგ.

ყდა: (16x9) სმ. ხის, შავი ტვიფრული ტყავით. შეიმჩნევა ორი შესაკრავის კვალი.

აკინძვის ხარვეზი: 36-ე ფურცელი ჩართულია 34-ის წინ, 37 კი 39-ის შემდეგ.

ხელნაწერი: დასაწყის 8 ფურცელზე ტექსტი აღდგენილი

მინაწერები:

1. „ეს ღავითნი, როძელსაც თაჟში აყლია და ძედლე ძეყსიათ, როეობს ჯაცყოზ, დაჭყდილი ყნდა იყოს 1705 წელს, მოსკოჟში, ამხილ მეფის მიერ. სრული ცალი მოწაჟება მოსკოჟის სინოდალური ცნობეზადის ზიტლითიყას. სლავურ დანეილ წინასიტყვაობაში ამხილ მეფე მოსხენიჭყლია იქოჟის მეფედ.⁸⁵ ნათჟაჟია, როძ იგი დაჭყდილია იქოჟელ რნაზო (на имеретинском языке) ა. შანიძე. 27/V 1923“⁸⁶ – წინა ფორმაცზე, შავი მელნით.
2. „ცნობა ამის ძესახე ა. ხახანაძელსაც ჰქონია მოყვანილი. (იხ. მისი „ძველად აღჭყდილნი წიენნი მოსკოჟის სინოდალურს სცამბაში“ მოამბე. 1900 მაისის ნომერი)“ – წინა ფორმაცზევე, იისფერი მელნით, მიწერილია გვერდულად. იქვე და ყუაზე:
3. ქმწკგ საზოგადოების ბიბლიოთეკის წიგნთა ნომერები და საკლასიფიკაციო ნიშანები:
